აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№132 (25.012) შაბათი, 3 - 5 დეკემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 10-15, მაღალ მთაში - 3-8 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის დეპუტატებს შეხვდა. შალვა პაპუაშვილმა გერმანული მხარის მიმართ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და დემოკრატიული განვითარების მხარდაჭერისთვის მადლიერება გამოხატა. ისაუბრეს საქართველოს პროგრესზე ევროპულ ოჯახში გაწევრიანების გზაზე.

* * *

ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურა უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესიის შედეგად დაზიანდა, ვაგრძელებთ უკრაინისა და უკრაინელი ხალხის გვერდით დგომას, - განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ეუთოს 29-ე მინისტერიალზე სიტყვით გამოსვლისას. „სამოქალაქო საზოგადოების ერთიანობა აუცილებელია, რათა რუსეთს აიძულოს საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, მათ შორის, ევროკავშირის მედიაციით მიღწეული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულება," - აღნიშნა ილია დარჩიაშვილმა.

* * *

გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ სახალხო დამცველობის კანდიდატი კონსენსუსის შედეგად იქნება შერჩეული და მხარდაჭერილი იქნება პოლიტიკური პარტიების დიდი უმრავლესობის მიერ, - განაცხადა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმ. „ჯერ ყველაფერი კარგადაა და ვიმედოვნებთ, რომ ამ უწყების დამოუკიდებლობა და პროფესიონალიზმი შენარჩუნებული იქნება", - აღნიშნა მან.

* * *

ჩეხეთის ელჩმა პეტრ მიკისკამ დააფიქსირა, რომ მისი სიტყვები მცდარი ინტერპრეტაციით გავრცელდა, - ამის შესახებ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, ელჩმა აგრეთვე დაადასტურა, რომ სანქციებთან დაკავშირებით საქართველოსთან მიმართებაში შეკითხვები არ არსებობს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, პეტრ მიკისკამ განაცხადა, რომ ჩეხური პროდუქტების ნაწილი ხვდება რუსეთის ფედერაციაში.

* * *

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტსაბჭოს სხდომა 11 დეკემბერს, 15:00 საათზე გაიმართება, - ამის შესახებ ენმ-ის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე კობა ნაყოფიამ განაცხადა. მისი თქმით, პარტიის მიზანია მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება და დღევანდელი ხელისუფლების შეცვლა.

მოამზადა
ია შველიძემ

სამართლებრივი ფორუმი, რომელიც კიდევ უფრო გაამყარებს ქართულ-აზერბაიჯანულ თანამშრომლობას

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე აზერბაიჯანის იუსტიციის მინისტრ ფიქრათ მამადოვს და საქართველოს იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძეს შეხვდა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი საქართველოში ქართულ-აზერბაიჯანული სამართლებრივი ფორუმის ფარგლებში იმყოფებოდა, რომელიც ბათუმში წელს პირველად იმართება. ორი ქვეყნის სამართლებრივი ფორუმი ყოველწლიურ სახეს მიიღებს, რაც ქართულ-აზერბაიჯანულ თანამშრომლობას სხვადასხვა დარგში კიდევ უფრო გაამყარებს. იუსტიციის მინისტრებთან შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებზე, სამომავლო პარტნიორობის პერსპექტივებზე, ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

აჭარის მთავრობის
პრესსამსახური

რეკლამა დაგვირეკეთ: 27-13-31 აჭარა

როგორ შეიძლება ბრაზისა და სხვა ემოციების მართვა „დისკურსთან" ერთად?

ქცევის კორექციის ცენტრი „დისკურსი", გაერთიანებული სამეფოს ფონდ მდგრადი მშვიდობისთვის - COBERM-ის დამატებითი ინიციატივის ფინანსური მხარდაჭერით, წარმოადგენს ძალადობრივი ქცევისკენ მიდრეკილ პირთა დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილ მომსახურების დაწესებულებას, რომლის მიზანია ცენტრის მომსახურების მიმღებ პირთა ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია. ცენტრი, მისი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, მუშაობს სამი მიმართულებით:

* ოჯახში ძალადობა გამოვლილ მსხვერპლებთან ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიზნით;

* ძალადობის ჩამდენ პირებთან ქცევის კორექციისა და ემოციების მართვა-კონსტრუქციული გამოხატვის სწავლების მიზნით;

* ახალგაზრდებში აგრესიული და კონფლიქტური ქცევის, მათ შორის სტრესსა და დეპრესიასთან გამკლავების მიზნით.

„დისკურსის" ოპერირების განმავლობაში ოჯახში ანდა ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციული მიზნებიდან გამომდინარე გამოიკვეთა საგანმანათლებლო დონეზე შესაბამისი პროტოკოლების შექმნის აუცილებლობა, კერძოდ, კონკრეტული პროგრამების შემუშავება, რომლებიც ორიენტირებული იქნება ადრეულ ასაკში ცნობიერების ამაღლების კამპანიებზე როგორც სკოლებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში.

საგანმანათლებლო დონეზე რეფორმების დასახვისა და შემდგომ იმპლემენტაციის მიზნით, მიმდინარე წლის 8-11 ნოემბერს თურქეთის ქალაქ სტამბოლში ჩატარდა ტრენინგი ესპანელი ექსპერტის მონაწილეობით. აღნიშნული ტრენინგი მოიცავდა ესპანური მოდელის თეორიული ნაწილის გაცნობას, მათ შორის, ოჯახში ძალადობისა და მოძალადეებთან მუშაობის ასპექტებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული გენდერული ძალადობის პრევენციული ორგანოებისა და პროგრამების აუცილებლობის მნიშვნელობას. ტრენინგის მსვლელობისას არაერთხელ გაესვა ხაზი ცნობიერების ამაღლების მიზნით შექმნილ პროგრამებს, რომლებიც მოიცავს ქალისა და მამაკაცის როლის იდეოლოგიური წარმოდგენების, მამაკაცის დომინანტობა-პრივილეგიების და საზოგადოებაში არსებულ სოციალურ-კულტურული ნორმების წინააღმდეგ საგანმანათლებლო პროგრამებით რეაგირებას. გარდა აღნიშნულისა, გამოიკვეთა მუნიციპალურ დონეზე რელევანტური სერვისების შექმნის აუცილებლობა, უმაღლეს სასწავლებლებში არაფორმალური განათლების დანერგვა და ამ კამპანიებში თვით ახალგაზრდების, სტუდენტების ჩართვა-მონაწილეობაც, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვორქშოფებისა და სხვადასხვა სახის აქტივობების დანერგვა გენდერული თანასწორობის შესახებ სწორი ინფორმაციის გაზიარების მიზნით.

Behavior Correction Center „Discourse" with the financial support of UK fund for sustainable peace-complementary initiative to COBERM is a service institution created for the implementation of measures aimed at the correction of attitudes and behaviors persons prone to violent behavior. Based on the work of the center „Discourse" and international experience we can conclude that the main burden in the preventing address of domestic violence is raising awareness. It's important to implement the mechanism of early prevention, according to which the implementation of preventive measures should start from kindergarten, school and university level through strategy and rapid response mechanism.

კითხვების ანდა კონსულტაციის სურვილის შემთხვევაში დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე:

(+995) 591 29 57 84.

საექსპორტო მანდარინს 20-ზე მეტი ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმო მიიღებს

აჭარის მთავრობის მეთაური თორნიკე რიჟვაძე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ შამუგიასთან და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესთან ერთად ციტრუსის სეზონის მიმდინარეობას გაეცნო

ხელისუფლების წარმომადგენლები ქობულეთში ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელ საწარმოს ეწვივნენ და ციტრუსის მიღების პროცესს ადგილზე გაეცნენ. საწარმო 24 საათის განმავლობაში 250 ტონა ციტრუსის მიიღება-დახარისხებას და პარაფინირებას შეძლებს. საწარმო „ქართული მანდარინი“ მიმდინარე წელს 3000 ტონამდე სტანდარტული ციტრუსის მიღებას და ექსპორტს გეგმავს. ნარინჯისფერი რთველის, ციტრუსის დაბინავების პროცესს ადგილზე გაეცნენ ასევე, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო წილოსანი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები. ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს არასტანდარტული ციტრუსის საკონსერვო ქარხანა „Georgian industrial Asset Management Group“, რომელიც ნედლულის მიღებას მიმდინარე წლის 5 დეკემბრიდან დაიწყებს.

აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, არასტანდარტულ მანდარინზე სუბსიდია გაიცემა. სახელმწიფოს მხრიდან 1 კგ სამრეწველო მანდარინზე 15-თეთრიანი თანადაფინანსება იქნება. 5 თეთრს გადაიხდის საწარმო, შესაბამისად, სამეწარმეო გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის ფასი 20 თეთრი იქნება. მიმდინარე წელს, საპროგნოზო მონაცემებით, 45 ათას ტონამდე ციტრუსის მოსავალს ელოდებიან. სეზონზე საექსპორტო მანდარინს 20-ზე მეტი ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმო მიიღებს.

ჩაქვში რაგბის მოედნის და ძალოსნობის სავარჯიშო ბაზის მშენებლობა დასკვნით ეტაპზეა

დარინა გაბაიძე 27 48 93

ჩაქვში რაგბის მოედნის მშენებლობა მიმდინარეობს. ამ ეტაპზე მიწის მოსწორების და საძირკვლის მოწყობის სამუშაოები ხორციელდება. თანამედროვე სტანდარტების სპორტულ ობიექტში სავარჯიშო და სატრენაჟორო სივრცე, საკონფერენციო დარბაზი და ადმინისტრაციული ცენტრი განთავსდება. რაგბის ხელოვნურსაფარიან მოედანზე 1000 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნები მოეწყობა

ასევე, მიმდინარეობს ძალოსნობის სავარჯიშო ბაზის მშენებლობა, ამ ეტაპისთვის კი - შენობის მოპირკეთების და ინტერიერის მოწყობის სამუშაოები. სამშენებლო პროცესს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ფატი ხალვაში, ქობულეთის მერი ლევან ზოიძე და პროექტების მართვის კომპანიის დირექტორი ბაქარ ჩიტაია ადგილზე გაეცნენ. თანამედროვე სტანდარტების შენობაში სავარჯიშო, შეჯიბრების ჩასატარებელი სივრცეები და საკონფერენციო დარბაზი მოეწყობა. პროექტის ფარგლებში, სპორტულ ობიექტში სასტუმრო კომპლექსი განთავსდება. ახალი სპორტული ობიექტი სპორტსმენების სრულფასოვან მომზადებას უზრუნველყოფს. ძალოსნობის ბაზაზე სხვადასხვა დონის შეჯიბრებების ჩატარება იქნება შესაძლებელი.

საინფორმაციო შეხვედრა - საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე

დარინა გაბაიძე 27 48 93

საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა ბათუმის ტექნოპარკში ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტებისთვის საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე სემინარი გამართა

მოწვეულმა ექსპერტებმა - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის თავმჯდომარე ნატო ბაჩიაშვილმა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის გენერალური დირექტორატის ევროკავშირის დახმარებისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორმა დავით ბუჯიაშვილმა და ჰიბრიდული ომების მკვლევარმა დავით ძიძიშვილმა ვრცლად ისაუბრეს ახალგაზრდებისთვის საინტერესო თემებზე, როგორიცაა: საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი, გამოწვევები და პერსპექტივები, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის დინამიკა, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი, მნიშვნელობა და პერსპექტივები, ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის მექანიზმები, ანტიდასავლური პროპაგანდა, მისი ძირითადი მიზნები და ამოცანები.

დისკუსიის ნაწილში, საზღვაო აკადემიის სტუდენტებმა დასვეს მათთვის საინტერესო შეკითხვები და სპიკერებისგან მოისმინეს პასუხები. შეხვედრის დასასრულ სემინარის მსმენელებს სერტიფიკატები, საინფორმაციო ცენტრის მიერ მომზადებული თემატური ლიტერატურა და საინფორმაციო მასალები გადაეცათ.

შეხვედრა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“ ფარგლებში გაიმართა, რომელსაც საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ, საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელს აჭარის რეგიონში ირმა გაბინაშვილს.

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი სისტემატურად გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო-შემეცნებით აქტივობებს, ღონისძიებებს და სემინარებს, რომლებიც ახალგაზრდა თაობების და, რა თქმა უნდა, უმაღლესი სასწავლებლების უფრო მეტ ჩართულობას და სტუდენტების მეტ ინფორმირებულობას ისახავს მიზნად. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, შეხვედრა შედგა ბათუმის ტექნოპარკში ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტებისთვის. სემინარი 3 ნაწილად გვქონდა დაყოფილი. პირველი ნაწილი მიეძღვნა ნატოს შექმნის, ფუნქციონირების, სამოქმედო გეგმის, ნატო-საქართველოს ურთიერთობების და სამომავლო სტრატეგიების საკითხებს. მეორე სესიაზე ევროკავშირის შესახებ ვისაუბრეთ, ევროკავშირის შექმნის, გაფართოებების, საქართველო-ევროკავშირს შორის არსებული ურთიერთობების, საქართველოს ევროპული პერსპექტივის შესახებ უფრო კონკრეტული, დეტალიზებული ინფორმაცია მივაწოდეთ ახალგაზრდებს და მათ შეკითხვებს ვუპასუხეთ. მესამე საკითხი იყო ანტიდასავლური პროპაგანდა, დეზინფორმაცია, გამოწვევები და დეზინფორმაციასთან გამკვლავების მეთოდები. ვფიქრობ, ასეთი ტიპის სემინარები, რომლებსაც უძღვებიან საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლები და მოწვეული სპიკერები, რომლებსაც აქვთ თავიანთი ექსპერტული გამოცდილება და პრაქტიკა მიმდინარე თემებთან მიმართებით, არის უმნიშვნელოვანესი, რადგან ახალგაზრდებისთვის საინტერესოა უშუალოდ საკითხით დაინტერესებული სპიკერების და ექსპერტების მოსაზრებების მოსმენა. ჩვენი მიზანია საზოგადოებასთან ყოველდღიურ რეჟიმში კომუნიკაციის გააქტიურება და მათი გაცნობიერებული მხარდაჭერის მოპოვება, - გვითხრა ირმა გაბინაშვილმა.

საქართველოს ყველა რეგიონში პერმანენტულად იგეგმება შეხვედრები ახალგაზრდებთან, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს დაინტერესებულ პირებთან.

აქცია - ვარდების სკვერში

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ბათუმში, ვარდების სკვერში აქცია გაიმართა, რომლის მონაწილეები ამბობენ, რომ მათი მთავარი მოთხოვნაა ხელისუფლებამ უსახლკაროები საცხოვრებელი სახლებით დააკმაყოფილოს.

აქციის მონაწილეების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აჭარაში უსახლკარო მოქალაქეთა რაოდენობა 3000-ს აჭარბებს.

„ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან მძიმეა, ქირით ცხოვრება შეუძლებელია, ვერ ვიხდით გადასახადებს. ერთს ვითხოვთ სახელმწიფოსგან, რომ დაგვაკმაყოფილონ ფართებით და აღიარონ ჩვენი უსახლკარო სტატუსი“, - განაცხადეს აქციის მონაწილეებმა.

აქციის ორგანიზატორებმა განმარტეს, რომ უსახლკაროთა მხარდასაჭერად, პარტიის შექმნას გეგმავენ.

„რამდენიმე თვეა ხელისუფლებას მივმართავთ, რომ ამ ხალხის პრობლემებზე შეიქმნას კომისია და დავიწყოთ მუშაობა, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია. პატარა „ზაპოროჟეცი“ რომ გყავდეს, სახლად გეთვლება, ვიღაცასთან რომ შესახლებული იყო, სახლად გეთვლება. ეს ჩვენთვის მიუღებელია! გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი პარტია შევქმნათ, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე მუხლის შესრულებაზე იმუშავებს, სადაც გარკვევით წერია, რა პირობებში უნდა ცხოვრობდეს საქართველოს მოქალაქე. პარტიასთან დაკავშირებით სხვა დეტალებზე საუბარი ჯერ ადრეა“, - განაცხადა აქციის ორგანიზატორმა მერაბ ბლადაძემ.

მშენებლობა აქტიურ ფაზაშია

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

რამდენიმე წლის წინ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყინაურში ბაგა-ბაღი გაიხსნა, იგი ყოფილი საუბნო საავადმყოფოს ერთ



ფლიგელში განთავსდა. აქაური დედები ახლის მშენებლობას ითხოვდნენ. ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ყურად იღო მათი მოთხოვნა და თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სკოლამდელი დაწესებულების შენობას აგებენ. იგი 60 აღსაზრდელს მოემსახურება.

ახალ საბავშვო ბაღში მოეწყობა საძინებლები, სათამაშო ოთახები, სამზარეულო და ეზო. ბაღის შენობა ადაპტირებული იქნება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის.

პროექტის ღირებულება 982 759 ლარია და მშენებლობა 2023 წლის ბოლოს დასრულდება.

სამშენებლო პროცესებს ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე გაეცნენ.

ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘ – ᲥᲐᲚᲗᲐ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲜᲐᲜᲐ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ 577 20 35 90

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲣᲚ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲔᲠᲗᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲘᲕᲘᲗ, ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ

სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ისინი იზრუნებენ, რომ როგორც მთლიანად რეგიონში, ისე ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მოქმედ გენდერული თანასწორობის საბჭოებში აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას შეუწყონ ხელი.

- ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის ადვოკატირება და ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს გაფორმებული მემორანდუმით მხარეები თანხმობას აცხადებენ და საჯაროდ დეკლარირებენ, რომ მაქსიმალურად ითანამშრომლებენ გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების შესრულებისას, ასევე, იმუშავებენ იმაზე, რომ მაქსიმალურად ამაღლდეს მოსახლეობის ცნობიერება აღნიშნული მიმართულებით. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სახელით მივესალმებით ამ აქტს და ჩვენ, როგორც ქვეყნის ცენტრალურ დონეზე გენდერული თანასწორობის აღმასრულებელი და განმახორციელებელი სტრუქტურა, მაქსიმალურ მხარდაჭერას ვუცხადებთ როგორც აჭარის უმაღლესი საბჭოს, ისე მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებს, - განაცხადა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელმა ნინო წილოსანმა.

მემორანდუმის მნიშვნელობაზე ისაუბრა აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ფატი ხალვაშმა. მისი განცხადებით, აღნიშნული მემორანდუმი კიდევ უფრო მნიშვნელოვან საფეხურზე გადაიყვანს მათი და აჭარის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების ურთიერთობას.

- რა თქმა უნდა, უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციაში შედიოდა მუნიციპალიტეტების საბჭოების მუშაობაზე ზედამხედველობა და მონიტორინგი, მაგრამ მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, ეს პროცესი რეგულარულ ხასიათს მიიღებს. ჩვენ მჭიდრო კავშირი გვაქვს მუნიციპალიტეტებთან, მუდმივად გვქონდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ აღნიშნული მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, მზად ვართ, ძალიან ბევრი ერთობლივი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღოთ, ერთად ვიზრუნოთ იმ პრობლემების შესწავლაზე, რომელიც აქვთ აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალბატონებს. ჩვენ ყველა ძალისხმევას ჩავდებთ იმაში, რომ გავაძლიეროთ ქალბატონები და ვაგრძნობინოთ მათ, რომ გვერდით ვუდგავართ, - განაცხადა ფატი ხალვაშმა.

გენდერული თანასწორობის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრმა ლია შაქარიშვილმა.

- გენდერული თანასწორობის მიღწევა პოლიტიკურ პროცესებში, მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ დიდ გამოწვევას წარმოადგენს. შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭოს შექმნა აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერულ საბჭოსთან, მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოებისა და უმაღლესი საბჭოს თანამშრომლობას კიდევ უფრო გააძლიერებს. ჩვენი, გენდერული საბჭოების დიდი ხნის სურვილი იყო, ამ ტიპის კოორდინაცია გვქონოდა ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოსთან. აქამდეც ვთანამშრომლობდით რიგ საკითხებზე, თუმცა ოფიციალურად გაფორმება ამ თანამშრომლობის იქნება ძალიან კარგი შესაძლებლობა მომავალში საერთო გეგმების განსახორციელებლად. გენდერული თანასწორობის კუთხით ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი. ამასთან, უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანი რიგი ნაბიჯები გადადგმულია - საკანონმდებლო ბაზა, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიერთება, გეგმები, რომელიც სახელმწიფო დონეზე გვაქვს, თუმცა პრაქტიკულად განხორციელებას სჭირდება უფრო მძლავრი მექანიზმები და ერთ-ერთ ასეთ მექანიზმად დღეს ამ საკოორდინაციო საბჭოს შექმნა შეიძლება მოვიაზროთ. საჭიროა, ქალები უფრო აქტიურად ჩანდნენ პოლიტიკურ პროცესებში და პირველ რიგში, იმიტომ, რომ წაახალისონ სხვა ქალები, რომლებიც ვერ ბედავენ თავიანთი პოლიტიკური სურვილების გამჟღავნებას. ბევრი ღია თუ დამალული მიზეზი არსებობს იმისა, რომ ქალები ერიდებიან აქტიურად ჩაერთონ პოლიტიკაში. თუმცა, თუკი ჩვენ გვინდა მივიღოთ გენდერულად დაბალანსებული პროცესები, გენდერულად დაბალანსებული ბიუჯეტი, ამისთვის საჭიროა, ქალები და მამაკაცები თანაბრად იყვნენ წარმოდგენილი ხელისუფლების ყველა დონეზე, განსაკუთრებით ადგილობრივ თვითმმართველობებში, რადგან ეს ის რგოლია, რომელიც ყველაზე ახლოს დგას მოსახლეობასთან. შესაბამისად, საჭიროებების დაგეგმვა, მათი ასახვა ბიუჯეტში შესაძლებელია მხოლოდ თანაბარი მონაწილეობით. ქალები, რომლებიც ამ ეტაპზე ვართ წარმოდგენილი თვითმმართველობებში, ვამბობთ ჩვენს სათქმელს, მაგრამ იმისთვის, რომ ჩვენ გავლენა გვქონდეს პროცესებზე, საჭიროა უფრო მეტად ვიყოთ წარმოდგენილი და ის სიკეთეები, რაც ადგილობრივი ბიუჯეტით არის შესაძლებელი, განხორციელდეს ადგილზე, ხელშესახები და ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოების ყველა ფენისთვის, ქალებისთვის, ბავშვებისთვის, მოხუცებისთვის და ასე შემდეგ, - გვითხრა ლია შაქარიშვილმა.

აღნიშნულ საკითხზე თავისი მოსაზრებები გაგვიზიარა მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ნარგიზ დეკანაძემ.

- ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა მემორანდუმის გაფორმება, რაც ძალიან გვინდოდა. მიუხედავად იმისა, რომ შედარებით გააქტიურდნენ ქალბატონები, საჭიროა მეტი და მეტი ჩართულობა. ძალიან ბევრი შეუძლია ქალს, მთიელ ქალს - განსაკუთრებით. წლებია, რაც გენდერული თანასწორობის საბჭო, ასევე ქალთა ოთახი შეიქმნა ხულოში, რომლის საშუალებითაც არაერთი ლიდერი ქალი შევარჩიეთ, ძალიან ბევრ ქალს მიეცა სტიმული, ყველაფერი გააკეთოს საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოსავლენად. არაერთი მეწარმე ქალი გვყავს ხულოში, თუმცა კიდევ ბევრია სამუშაო იმისათვის, რომ გენდერული თანასწორობის კუთხით ავამაღლოთ საზოგადოებაში ცნობიერება, რაც ხელს შეუწყობს მათ უფრო მეტად გააქტიურებას, - განაცხადა ნარგიზ დეკანაძემ.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ

უკრაინაში 24 თებერვლიდან 13 000-მდე სამხედრო დაიღუპა, - ამის შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველმა მიხაილო პოდოლიაკმა განაცხადა, რომელმაც კომენტარი გააკეთა ევროკომისიის პრეზიდენტის ურსულა ფონ დერ ლაიენის სიტყვებზე, რომ უკრაინის არმიის დანაკარგები 100 000 ჯარისკაცს შეადგენს. პოდოლიაკის თქმით, ევროკომისიის პრეზიდენტმა შეცდომა დაუშვა და „ეს აშკარაა, რადგან წაშალეს ეს ვიდეო, წაშალეს ეს ციფრები“. „გვაქვს გენერალური შტაბის ოფიციალური შეფასებები, არის ოფიციალური შეფასებები, რაზედაც უმაღლესი მთავარსარდალი საუბრობს და რომლის თანახმადაც, დაღუპულთა რაოდენობა 10-დან 12,5-13 ათასამდე აღწევს“, აღნიშნა პოდოლიაკმა. მისი თქმით, თუ ვსაუბრობთ მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლზე, მაშინ ფონ დერ ლაიენის მიერ დასახელებულ 20 ათასზე გაცილებით მეტია. მისი თქმით, რუსეთი მშვიდობიან მოსახლეობას ებრძვის, განსაკუთრებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ამიტომ არის იქ უამრავი მასობრივი საფლავი.

* * *

რუსულმა ძალებმა ხარკოვის ოლქის კლუგინო-ბაშკიროვკის დასახლება დაბომბეს. რუსული რაკეტა მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსს მოხვდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. მათივე ცნობით, საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურის რეგიონული დეპარტამენტის წარმომადგენელმა ევგენი ვასილენკომ განაცხადა, რომ რუსებმა ცეცხლი ხუთსართულიან შენობას გაუხსნეს. დაბომბვის შედეგად ნაწილობრივ განადგურდა ბინები სახლის ზედა სართულზე. მაშველები დანგრეულ ბინებს ათვალიერებენ. ცნობილია ერთი დაშავებული ქალის შესახებ.

* * *

უკრაინის თავდაცვის მინისტრ ოლექსი რეზნიკოვის შეფასებით, მადრიდში უკრაინის საელჩოს ტერიტორიაზე მომხდარი აფეთქებისა და ესპანეთში გაგზავნილი სახიფათო წერილების უკან რუსეთის ფედერაცია დგას. რეზნიკოვმა ესპანეთის თავდაცვის მინისტრ მარგარიტა რობლესთან ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა, რომ რუსეთი ტერორის გასავრცელებლად ტერორისტულ საშუალებებს იყენებს. „მსოფლიო იწყებს აღიარებას, რომ ეს არის ტერორისტული სახელმწიფო. ტერორს არ აქვს საზღვრები. დღეს ქალბატონმა მინისტრმა ისაუბრა ასაფეთქებელი წერილების შესახებ, რომლებსაც ესპანეთში ღებულობენ - ისინი იყენებენ ტერორისტულ საშუალებებს ტერორის განსახორციელებლად. ისინი ცდილობენ, გაუთიშონ უკრაინას წყალმომარაგება, ელექტროენერგია, რომ სიცივესა და სიბნელეში ვიყოთ. რაც ნიშნავს, რომ ეს გამოწვევაა მთელი მსოფლიოსთვის“, - განმარტა რეზნიკოვმა. შეგახსენებთ, ესპანეთში, უკრაინის საელჩოში ფოსტით გაგზავნილი ბომბიანი კონვერტი აფეთქდა, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაშავდა. ანალოგიური გზავნილები გაუგზავნეს ესპანეთის პრემიერ-მინისტრს, თავდაცვის სამინისტროს, იარაღის მწარმოებელ კომპანიას სარაგოსაში, რომელიც კიევისთვის სარაკეტო გამშვებებს აწარმოებს და ესპანეთის დედაქალაქის მახლობლად მდებარე სამხედრო ავიაბაზას.

* * *

იტალიის მინისტრთა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა განკარგულება უკრაინაში იარაღის მიწოდების 2023 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელების შესახებ. განკარგულების თანახმად, კიევს 2023 წლის განმავლობაში სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა გადაეცემა ისე, რომ ყოველ გაგზავნაზე პარლამენტის თანხმობა საჭირო არ იქნება. მთავრობის დადგენილება ძალაში იტალიის პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდეგ შევა. უკრაინისთვის იარაღისა და აღჭურვილობის მიწოდების შესახებ ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარიო დრაგის მიერ მიღებული შეთანხმების ვადა 31 დეკემბერს იწურებოდა.

* * *

რუსებმა ქალაქი ზაპოროჟიე დაბომბეს, რის შედეგადაც ინფრასტრუქტურული ობიექტის შენობას ცეცხლი გაუჩნდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ზაპოროჟიეს საკრებულოს მდივან ანატოლი კურტევზე დაყრდნობით ავრცელებს. მისივე ცნობით, მტრის თავდასხმის შედეგად ინფრასტრუქტურული ობიექტის შენობა იწვის. ახლომდებარე სახლებში კი აფეთქების ტალღის შედეგად მინებია ჩამსხვრეული. კურტევი წერს, რომ თავდასხმის ადგილებზე შესაბამისი სამსახურები მუშაობენ. დანგრევისა და მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია ზუსტდება.

* * *

უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლები მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესიის ობიექტებში კონტრდაზვერვით ღონისძიებებს ახორციელებენ, - ინფორმაციას უკრაინული მედია უკრაინის უშიშროების სამსახურის პრესსამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ცნობით, ღონისძიებები ხორციელდება ჟიტომირის, რივნისა და ზაკარპატიის ოლქებში. უწყებაში აცხადებენ, რომ ზომები ტარდება „რელიგიური თემების რუსული სამყაროს უჯრედად გამოყენების თავიდან ასაცილებლად და მოსახლეობის პროვოკაციებისა და ტერორისტული აქტებისაგან დასაცავად“. უკრაინის უშიშროების სამსახური, ეროვნული პოლიცია და ეროვნული გვარდია ამოწმებენ ტერიტორიასა და შენობებს. ისინი ეძებენ პირებს, რომლებიც შესაძლოა ჩართულები იყვნენ უკანონო ქმედებებში უკრაინის სახელმწიფო სუვერენიტეტის საზიანოდ და ასევე ნივთებს, რომლის გამოყენებაც აკრძალულია. უკრაინის პრესიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ეროვნულმა საბჭომ მთავრობას დაავალა, უმაღლეს რადაში დასამტკიცებლად შეიტანოს კანონპროექტი, რომლითაც უკრაინაში აიკრძალება რუსეთის ფედერაციაში მდებარე გავლენის ცენტრებთან აფილირებული რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა.

მოამზადა
ᲜᲐᲘᲠᲐ ᲨᲣᲢᲙᲐᲠᲐᲫᲔ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი აცხადებს, რომ მზად არის რუსეთის პრეზიდენტს ესაუბროს, თუ ის დაინტერესებულია უკრაინაში ომის დასრულებით. მისი თქმით, პუტინთან მოლაპარაკებებს მხოლოდ ნატოს მოკავშირეებთან კონსულტაციით გამართავს. მან ასევე აღნიშნა, რომ უკრაინის ომის დასრულება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პუტინი ქვეყნის ტერიტორიიდან ჯარებს გაიყვანს. „როგორც ჩანს, ის ამას არ აპირებს. ის ძალიან მძიმე ფასს იხდის ამისთვის“, - დასძინა აშშ-ის პრეზიდენტმა.

* * *

ფაქტობრივად, პრეზიდენტმა ბაიდენმა თქვა, რომ მოლაპარაკება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც პუტინი დატოვებს უკრაინას“, - ასე გამოეხმაურა კრემლის პრესსპიკერი დიმიტრი პესკოვი ჯო ბაიდენის განცხადებას ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის მზაობაზე, თუ ის დაინტერესებულია უკრაინაში ომის დასრულებით. პესკოვმა თქვა, რომ კრემლი ამისთვის მზად არ არის და „სპეცოპერაცია“, რა თქმა უნდა, გაგრძელდება. „ჩვენი მიზნების მისაღწევად, პრეზიდენტი პუტინი იყო, არის და რჩება ღია ყველასთან მოლაპარაკებისთვის. რა თქმა უნდა, ჩვენი ინტერესების მისაღწევად ყველაზე სასურველი გზა მშვიდობიანი დიპლომატიური გზებია“, - აღნიშნა კრემლის პრესსპიკერმა.

* * *

ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინს მოუწოდა, რუსეთზე გავლენა იქონიოს უკრაინასთან ომის გამო. მიშელის თქმით, პეკინში სამსაათიანი შეხვედრის დროს ომის განხილვამ „დიდი დრო“ წაიღო. ასევე განიხილებოდა ვაჭრობის, კლიმატის, ადამიანის უფლებების, კოვიდ-19-ის, სიძნიანისა და ტაივანის საკითხები. „ისევე როგორც აპრილში, ევროკავშირი-ჩინეთის სამიტზე პრეზიდენტ სის მოვუწოდე, რუსეთზე თავისი გავლენა გამოიყენოს, რომ გაეროს წესდებას სცენ პატივი“, - განაცხადა მიშელმა. როგორც მან აღნიშნა, სი ძინპინმა ნათლად გააგებინა, რომ ჩინეთი რუსეთს იარაღს არ აწვდის და ბირთვული მუქარებიც მიუღებელია.

* * *

რუსეთის საჰაერო კოსმოსურმა ძალებმა ყაზახეთში, სარი-შაგანის პოლიგონზე სარაკეტო თავდაცვის სისტემის ახალი რაკეტა გამოსცადა, - ინფორმაციას რუსული მედია ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს. უწყების ცნობით, საცდელი გაშვება წარმატებული იყო. „სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ძალების სარი-შაგანის საწვრთნელ ბაზაზე (ყაზახეთის რესპუბლიკა), რუსეთის საჰაერო კოსმოსური ძალების საჰაერო და სარაკეტო თავდაცვის ძალების საბრძოლო ეკიპაჟმა წარმატებით განახორციელა რუსული სარაკეტო თავდაცვის სისტემის ახალი რაკეტის მორიგი საცდელი გაშვება,“ - აღნიშნულია ინფორმაციაში.

* * *

შვეიცარიამ უკრაინაში რუსეთის შეჭრის საპასუხოდ 7.5 მლრდ შვეიცარიული ფრანკის ღირებულების (დაახლოებით 7.9 მლრდ აშშ დოლარი) რუსული აქტივები გაყინა. „თანხები შეიძლება გაიზარდოს იმ შემთხვევებში, როდესაც ახალი პირები ხდებიან სანქციების ობიექტი ან გამოვლენილია ახალი აქტივები“, - აცხადებენ შვეიცარიის ფინანსთა სამინისტროში.

მოამზადა
ᲘᲐ ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ

„ნებისმიერი გზავნილი სულიდან და სულისკენ უნდა იყოს მიმართული“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***ირინე გოჩაშვილი** იმ სანაქებო მთარგმნელების რიცხვშია, თავიანთი პროფესიონალიზმით რომ გამოირჩევიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მან სიყვარულითა და ოსტატობით თარგმნა უცხოელ პოეტთა ის ლექსები, რომლებშიც ისინი საქართველოსადმი სიყვარულს გამოხატავდნენ*

ქალბატონი ირინე მრავალმხრივი ინტერესებით გამორჩეული პიროვნებაა, წერს ლექსებს, უკრავს ვიოლინოზე, ეწევა ჟურნალისტურ საქმიანობას, არაერთი წიგნის რედაქტორია, მონაწილეობს ლიტერატურულ ღონისძიებებსა და ფესტივალებში, ამასთან, თავგამოდებული საზოგადოებრივი საქმიანობითაც იპყრობს ყურადღებას. სამაჩაბლოს საზღვრისპირა სოფლებს ხშირად სტუმრობს და ხელოვნების წარმომადგენლებთან ერთად ატარებს სხვადასხვა ღონისძიებას. სწამს, რომ ასეთი საქმიანობა კეთილი ნების ადამიანების გზავნილია ქვეყნის გამთლიანებისათვის, ეს ინტერვიუც სწორედ ამ განწყობის გამოძახილია.

- მრავალმხრივი ინტერესებით გამორჩეული პიროვნება - ასე გახასიათებენ. ირინე გოჩაშვილი - პოეტი, მთარგმნელი... გააგრძელეთ...

- უბრალოდ - ადამიანი.

- მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტში სწავლობდით, ცნობილი მოაზროვნეების ლექციებმა და პოეტებთან ურთიერთობამ, ცხადია, მენტალურად გაგამდიდრათ. მაინც, რა იყო არსებითი?

- ის, რომ საბჭოურ მენტალიტეტთან შედარებით, რამდენიმე ნაბიჯით წინსვლა გველოდა მოაზროვნე ლექტორებისა და საზოგადოების წყალობით. ასე, მაგალითად, საბჭოთა ცენზურის მიერ აკრძალული ნაბოკოვის შემოქმედება და, განსაკუთრებით, „ლოლიტა“ ძნელად მოვიძიეთ სტუდენტებმა და წავიკითხეთ, რამაც გვაზიარა ნამდვილი მწერლობის დანიშნულებას. იმდენად ამაღლდა ჩვენი ცნობიერება, რომ ლამის აჯანყება მოვაწყვეთ საბჭოური აგიტაცია-პროპაგანდის გამწევი საგნების სწავლების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ნებისმიერი საგანი (თუნდაც საბჭოური) უნდა ისწავლო, რათა განსხვავება აღმოაჩინო აგიტაცია-პროპაგანდასა და ჭეშმარიტებას შორის, მაგრამ ჩვენ გვსურდა მეტი დრო დაგვრჩენოდა ღირებული საკითხების შესასწავლად და გასაანალიზებლად. სათქმელი ბევრია, ბევრსაც გავიხსენებდი, მაგრამ ეს უკვე ჩემი შთაბეჭდილებების ცალკე წიგნად გამოცემის თემაა.

- წარმატებული მთარგმნელი ხართ, არაერთი ცნობილი პოეტი გადმოაქართულეთ. სად დაიბეჭდება ეს თარგმანები, რა პრინციპით არჩევთ ავტორებს? „საოცარი შეგრძნებაა, როდესაც ლექსის ავტორს ვუკითხავ ჩემეულ თარგმანს“ - მაინც, ვინ გვყავთ მხედველობაში?

- თარგმანი ბევრი მაქვს, მაგრამ უმრავლესობა იმ პოეტების ლექსებისაა, რომლებიც საქართველოს უძღვნიდნენ შესანიშნავ სტრიქონებს. გამოცემული მაქვს ერთადერთი წიგნი „გაჩერებული დრო“, სადაც ჩემი ლექსები ნაკლებია, თარგმანები კი მეტი. ვფიქრობ, ურიგო თარგმანები არ გამოვიდა, მაგრამ მათ შორის დიდ მიღწევად მიმაჩნია ანდრეი ბიტოვის რომანიდან „ქართული ალბომის“ პირველი ნაწილის თარგმანი. აქვე მსურს აღვნიშნო, რომ თავად ანდრეი ბიტოვი და სხვა რუსი პოეტები (ბელა ახმადულინა, ევგენი ევტუშენკო, ლევ ოზეროვი, ლიდია გრიგორიევა და ნატალია სოკოლოვსკაია) მადლიერებას გამოთქვამდნენ, რამეთუ ქართველი პოეტებისგან ქებული იყო ეს თარგმანები. დიდი პატივისცემით მსურს მოვიხსენიო მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის პროფესორი, მთარგმნელი, ქალბატონი ანაიდა ბესტავაშვილი, რომელმაც უდიდესი დახმარება გამიწია, რომ მთარგმნელად ჩამოვყალიბებულიყავი.

- თქვენი რედაქტირებული წიგნით „შეწყვეტილი ცეკვა“ ბევრი დაინტერესდა.

- „შეწყვეტილი ცეკვა“ მთლიანად ჩემი სახელოვანი პაპის - ვლადიმერ ხეთაგუროვის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება. იგი ლეგენდარულ ანსამბლ სუხიშვილების გამორჩეული მოცეკვავე, საზოგადო მოღვაწე იყო. ამ წიგნის რედაქტორობა ვითავე, რაც ისე აღიქვეს, თითქოს ვთარგმნე. წიგნი ორენოვანია, ქართულ-რუსული.

- კარგი დედის გაზრდილი შვილი ცუდი ვერ იქნება - თქვენს შემთხვევაში ეს შეხედულება საგსებით მართალია. ისეთი დედა რომ გყავთ, როგორიც მზია ხეთაგურაია, სათქმელიც ბევრი გაქვთ, ხომ მართალია?

- სათქმელი იმდენი მაქვს, რომ ამას ფურცლები არ ეყოფა. მოკლედ გეტყვით მხოლოდ იმას და ეს არ არის გადაჭარბება, რომ მისი მსგავსი მრავალმხრივ ნიჭიერი, მსოფლიოსადმი კეთილგანწყობილი, საინტერესო აზროვნების და ამასთან, მძიმე ბედის ადამიანი იშვიათად მინახავს. მისმა უშურველმა ბუნებამ არაერთი ადამიანი დააყენა წარმატების გზაზე და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ იგი საქართველოს უერთგულესი შვილია! დანარჩენს მისი წიგნები ამბობენ...

- თქვენს სიტყვებში - აგრესია მომძლავრდა ახალგაზრდებშიო, გულისტკივილი ჩანს. ამას ყველა ვხედავთ, გამოსავალს კი ვერ ვხედავთ. ჩვენში აგრესიული ფონი მართლაც გაზრდილია. ყველაზე მოუთმენელ ძალადობად რას მიიჩნევთ?

- მოძალადეთა შორის ყველაზე ცუდი მგონია ის, ვინც ცდილობს, მართლა ღირსეული და ნიჭიერი ნებისმიერი საშუალებით ჩაძიროს საკუთარი თავის წარმოსაჩენად, საზოგადოებაზე (მანიპულაციის საშუალებით) გავლენა მოახდინოს და მენტალურად იძალადოს მასზე. ეს პოლიტიკურ ძალადობაზე ნაკლები დანაშაული არ მგონია!

- ფესვებს ვართ მოწყვეტილნი, წინაპრების სადღეგრძელოს ვსვამთ, თუმცა რა ვიცით მათ შესახებ? - ეს თქვენი კითხვაა, რომელსაც ახლა პასუხისთვის გთავაზობთ.

- მე ამ სიტყვებით გამოვხატავ იმ გულისტკივილს, რომელიც ეხება ყველას, ვისაც არ აინტერესებს თავისი სამშობლოს წარსული და რაც შეუსწავლია ამ წარსულიდან, არ გაუთვალისწინებია და არ გამოუყენებია ქვეყნის სასიკეთოდ.

- როგორ ფიქრობთ, როგორები იქნებიან მომავლის ადამიანები, თუნდაც 100 წლის შემდეგ? ციფრული ეპოქა რა გამოწვევების წინაშე აყენებს ადამიანს?

- მე არც გრძნეული ვარ და არც იმდენად შორსმჭვრეტელი, რომ დავასურათხატო მომავალი. შესაძლებელია პირიქით, მსოფლიო წინ წავიდეს სწორედ უკუსვლით, ანუ დაუბრუნდეს ღირებულებების გადფასებას, ე. წ. სიცოცხლეს დედამიწაზე პლასტმასისგან შექმნილი „ადამიანები“ გააგრძელებენ.

- რა არის ის მთავარი გზავნილი, თქვენი ლექსებიდან რომ ხმიანდება და გსურთ, ადამიანებმა გაიცნობიერონ?

- ნებისმიერი გზავნილი სულიდან და სულისკენ უნდა იყოს მიმართული. წერის პროცესში უეცრად ისეთი რამ შეიძლება აღმოგხდეს, რომელიც შენთვისვე მოულოდნელი და საინტერესო იქნება.

- ტრადიციები და ჩვენ - რა შევინარჩუნოთ და რა უკუვაგდოთ, რა აფერხებს ჩვენს ზნეობრივ განვითარებას?

- რთულია, მაგრამ უნდა შევინარჩუნოთ სიყვარული და უკუვაგდოთ სიძულვილი.

- თქვენთვის საუკეთესო წიგნი, რომელსაც უბრუნდებით და სხვასაც ურჩევთ...

- ასეთი წიგნი არცთუ ცოტაა მსოფლიო ლიტერატურაში, მაგრამ თუ ქართულს ვიქონიებთ მხედველობაში, ვფიქრობ, ყველამ დიდი ყურადღებით უნდა წაიკითხოს ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“.

- მუსიკა სამყაროს უნივერსალური ენაა და თქვენ მას ფლობთ - ვიოლინოზე დაკვრას სწავლობდით. ახლა რა მელოდიას გააჟღერებდით?

- ვსწავლობდი ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალურ (ნიჭიერთა) ათწლედში, კონსერვატორიის პროფესორ სერგო შანიძის კლასში. შესრულებული მაქვს პაგანინის, ჩაიკოვსკის, ერიოს, ბახის, მოცარტის, ვივალდის, ბეთჰოვენის, ჰენდელის, მენდელსონის ნაწარმოებები. მართალია, წლებია, არ ვმეცადინეობ ისე, მუსიკოსს რომ სჭირდება, მაგრამ ჩემთვის ჩაპლინის მუსიკა (ისე, როგორც მთელი მისი შემოქმედება) მნიშვნელოვანია და ამ ადამიანის გარეშე, ვფიქრობ, ერთი სხივი მოაკლდებოდა მსოფლიოს მზეს.

- „შეჩერდი, წამო“ - ასეთი განწყობა სანატრელია ბევრისთვის. თქვენთვის როდის შეჩერდა წამი?

- ჩემს გულში არსებობს „შეჩერებული წამი“, რომელიც დაკავშირებულია ძალიან უმწიკვლო, პირველ სასიყვარულო გრძნობასთან და, ალბათ, ამ სიყვარულს გაგრძელება იმიტომაც არ ეწერა, მშვენიერ წამად რომ დარჩენილიყო.

- ჩემი სარკმლიდან მოჩანს... თუ ამ წინადადებას სიმბოლურად გავიაზრებთ, რას იტყოდით, ანუ რას ხედავთ თქვენი სარკმლიდან?

- ჩემი სარკმლიდან მოჩანს ყველაფერი და არაფერი; ჩემი სარკმლიდან მოჩანს ცოდვა და მადლი; ჩემი სარკმლიდან მოჩანს სიკვდილი და სიცოცხლე; ჩემი სარკმლიდან მოჩანს ბევრი სხვა სარკმელი და იმ სარკმლებში ჩანს ჩემი სარკმელი.

„ერთ დღეს ვერ იცნობს ბათუმს – ბათუმი, გაუცხოვდება ძველი მშვენება“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*არის ქალაქები, რომლებიც კონკრეტულ ადამიანებთან ასოცირდება, ადამიანებთან, რომელთა გარეშე, თვლი, რომ ისეთი ფერი, ენერგია და სული აღარ ექნებოდა ქალაქს, როგორც მანამდე. ბათუმი, პოეტ **ვახტანგ ღლონტის**, მისი პოეზიის გარეშე, ნამდვილად არ იქნებოდა ისეთი, როგორიც არის. ბედნიერი მაშინაა, როცა სევდიან ლექსებს წერს. თვლის, რომ სევდა სიხარულზე ბუნებრივი ემოციაა, რომ სიხარული ხანმოკლე შესვენებაა ხანგრძლივ ტკივილებს შორის. მღელვარე გზით მოვიდა დღემდე, ბევრჯერ ეტკინა, ბევრჯერ ატკინეს, მაგრამ არასდროს დაუხევია უკან, არასდროს შეუწყვეტია ბრძოლა ქვეყნისა და თავისი საყვარელი ხალხის უკეთესი ხვალინდელი დღისთვის, უკეთესი მომავლისთვის.*

ვახტანგ ღლონტი ჩვენი სტუმარია.

- როგორ დაიწყო ყველაფერი?

- ფათერაკიანი გენეტიკით, რომელიც შეიძლებოდა ჩემამდე არაერთხელ გაწყვეტილიყო.... ღირსებიანი ხალხით, საკუთარი ნების მიუხედავად რომ ვერ შეიყუჟნენ რიგითი ადამიანის ტყავში და ამქვეყნიურ ბოროტებას მეორე ლოყა ვერ მიუშვირეს. ბევრი რამ გვაკლდა, ერთადერთი, რაც მოჭარბებით გვქონდა, სიყვარული იყო, გაჭირვებაში ერთმანეთის გვერდით დგომა ჩვენს ღირსებად და მოვალეობად მიგვაჩნდა.

ბავშვობიდან რომ დაგიძახონ „დაბრუნდი უკან!..“.
მისაგნებ ადგილს თუ გაქვს მაინც
წარსულის რუკა.
ღირს კი, ვიხსენებ წუთისოფლის
მწარე აბრუნდებს...
მე პირადად „პას“... ვისაც უნდა,
დაე, დაბრუნდეს!“.

- „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია“ - გალაკტიონის ეს სტრიქონები თუ ვინმეს შეეფერება, ერთ-ერთი თქვენ ხართ. 14 აპრილზე მიგვიყევით.

- რაც 14 აპრილს დედაქალაქში მოხდა, ჩვენთან - ბათუმში იგივე 1978 წლის 26 მაისს განმეორდა, რადგან აჭარა სწორედ ამ დღეს იღებდა თავისი კონსტიტუციის ახალ პროექტს. ამაზე არაერთხელ თქმულა... მახსოვს ის დილა, როგორ დავტოვე აუდიტორია დემონსტრაციულად და დავდექი უნივერსიტეტის წინ. ფანჯრებიდან სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებელთა შეშფოთებული მზერა არ მავიწყდება... გარკვეული დროის შემდეგ ჯერ ერთი შემომემატა (ნუგზარ მგელაძე) და ნელ-ნელა - სხვებიც. ცოტანი ვიყავით, მთავრობის სახლისკენ რომ დავიძარით, დღის ბოლოს - ათასობით. მიხარია, რომ იმ დღეს ჩემი ქალაქი და კუთხე არ შერცხვა დანარჩენი საქართველოს წინაშე, არადა, წინა დღეებში სასტიკად გვემუქრებოდნენ ადგილობრივი პარტიული ბოსები. სიმართლე გითხრათ, უფრო დიდი საშიშროება პირადად ჩემთვის, როცა აქცია დამთავრდა, იმ წუთიდან დაიწყო და ვიდრე საბჭოთა კავშირი არ დაიშალა, მანამდე არ დასრულებულა - ვგულისხმობ ხელის შეშლას, წიგნების გამოცემის გაჩერებას და მრავალნაირ პროვოკაციას.

- როგორია ნამდვილი ბათუმი, რა შეიცვალა თქვენს საყვარელ ქალაქში, რა მოგწონთ და რაზე გწყდებათ გული?

„აგურს -აგური, სართულს -
სართული
დაედება და დაეშენება;
ერთ დღეს ვერ იცნობს ბათუმს -
ბათუმი,
გაუცხოვდება ძველი მშვენება.
გავუცხოვდები მეც ჩემს ბათუმთან,
გადავიქცევი ამბად, არაკად,
მე რომ ვყვიროდი - სუყველა
დუმდა,
დღეს ყველა ერთად ალაპარაკდა.

თუმც კვლავ მალავენ მთავარ
იარას,
მე კი, თავმკვდარმა, რა
გიჩურჩულო;
ე, ბიჭო - „მგელი მოდის“ კი არა,
უკვე მოსული არის... ურჯულო!
შენ კი დაბალი ღობის ძებნაში,
ისევ და ისევ მე მომადექი;
ეგ სიტყვაც - ძმისთვის იყოს
ზედაშე,
მტრისთვის კი, თუგინდ, ელვის
ნატეხი.
ოღონდ, ეგ მტერი უფრო ვინაა -
მტერი შინა თუ მტერი გარეთა, -
თქვენ გაარკვიეთ... მე გზა წინა
მაქვს -
კართან, საუფლო, მიცდის
კარეტა!..“.

- არის თუ არა საიმედო ის თაობა, რომელიც მოდის პოეზიაში და რა რჩევას მისცემდით მათ?

- პოეზია ზუსტად ისეთია, როგორი პოეტებიც ჰყავს ქვეყანას, პოეტები კი სულ იყვნენ, არიან და იქნებიან ხვალაც... და თუ აღარ იქნებიან, ეს იქნება აპოკალიფსის წინადღე, წინაპირობა. რაც შეეხება ახალ თაობას, კარგა ხანია, კეთილი მწყემსის გარეშეა იგი და, როგორც მგელმა ჩაანაცვლა ბებია „წითელქუდაში“, ვართ ასე - მხსნელი მონადირის იმედად, რომელიც აუცილებლად გამოჩნდება მომავალ თაობაში.

- რომელ ორ ადამიანს, ორ პერსონაჟს გააცნობდით ერთმანეთს?

- დავით აღმაშენებელსა და ილია ჭავჭავაძეს - და ეს სამშობლოსთვის, უპირველესად, იქნებ ერთად მაინც უშველონ საქართველოს, ჩვენს ხელში რომ სულს ღაფავს ახლა. პირადად ჩემთვის - ქრისტესთან შეხვედრას ვინატრებდი... აი, ვთქვი ეს და შეკავებული ცრემლი ვიგრძენი თვალთან...

- ძალიან კარგად მღერით. რა როლი აქვს თქვენს ცხოვრებასა და შემოქმედებაში მუსიკას?

- არა, ვერა... ესეც ლექსივითაა და ყოველთვის არ მოდის... თბილისში, როცა ყველაზე მეტად მიჭირდა, გიტარამ გადამარჩინა... მქონდა ჩემი არაერთი სიმღერა, რომელიც საოცრად გამომდიოდა, როცა ახალი იყო, როცა ყველა წვენს გამოვწურავდი, ვეღარ ვმღეროდი უკვე, რაკიღა პროფესიონალი არ ვარ, ანუ ჩემს ხმას ვერ ვფლობ ბოლომდე, ამისთვის რაღაც სხვა მიზეზი და გარემოება მჭირდება. დიდი ხანია, ჩემს უფროს ბიჭს გადავბარე გიტარა, დაკვრა სწორედ იმისთვის ვისწავლე, მისთვის რომ გადამეცა და ამით, დაგვიანებით, მაგრამ მამაჩემის თხოვნა მაინც შევასრულე, რომელიც ჩემზე კარგად უკრავდა, მღეროდა კიდეც და ყმაწვილობაში ლექსებსაც წერდა თურმე.

- ბოლო წლებია, საინტერესო გატაცება გაქვთ - თევზაობა...

- არის რაღაც მისტიკა ამაში. პირისპირ ზღვასთან და ზურგშექცევით დანარჩენ სამყაროსთან... ნადირს ვერ ვესვრი, ადამიანზე უფრო მეცოდება! თევზი კი არ ჩანს, წინასწარ არც იცი - რა ამოგყვება.

იხ. მე-7 გვ.

„ყველა თარგმანი შვილივით მიყვარს“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

პედაგოგი, მთარგმნელი, მწერალი, იტალიური და ქართული ენების მცოდნე, რამდენიმე ქართული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, 10-მდე პერიოდული გამოცემის აქტიური თანამშრომელი, აჭარის დიდი მოყვარული, საქართველო-იტალიის ურთიერთობის დესპანი, ღირსეული მეოჯახე და მოსიყვარულე დედა. იტალიელების რძალი მშობლიურ ქვეყანაში ჩამოსასვლელად ყოველთვის ნახულობს დროს. ***მაია ტურაბელიძე*** *ბათუმსაც სტუმრობდა და საინტერესო შეხვედრებიც გამართა*

- ქალბატონო მაია, საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან“ მონაწილე, აჭარის მთიანეთს გამორჩეულად მოეფერეთ. ამ ფესტივალმა რა გამოძახილი ჰპოვა თქვენს შემოქმედებაში?

- „ზე-კართან“ ფესტივალში მონაწილეობამ წარუშლელი შთაბეჭდილება დამიტოვა. მოვიხიბლე მაღალმთიანი აჭარის ზღაპრული პეიზაჟებით და უამრავი საინტერესო ადამიანიც გავიცანი. ერთმანეთს ჩვენი შემოქმედების შესახებ ვუამბეთ. ამ ფესტივალმა უზარმაზარი სტიმული მომცა შემოქმედებით საქმიანობაში წინსვლისთვის. ნამდვილად დიდი პატივი მხვდა წილად და იმედია, კიდევ მექნება აქ ჩამოსვლის საშუალება.

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებთან შეხვედრას როგორ აფასებთ?

- მეცნიერ-თანამშრომლების გაცნობა ჩემი შემოქმედების გამდიდრება იყო. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მსგავს ადამიანთა წრეში მოვხვდებოდი. მათ წინაშე ნამდვილად პატარა ვჩანდი ან მე წარმოვიდგინე თავი ასე. ძალიან გამახარეს, თავიანთი წიგნებით დამასაჩუქრეს. ინსტიტუტმაც უმნიშვნელოვანესი წიგნები გადმომცა. ვნახოთ, იქნებ რაიმე ერთობლივ საქმიანობასაც კი მოვკიდოთ მომავალში ხელი. ორი ათეული წლის წინ ცხოვრების ბედი სიცილიელ ჭაბუკს დავუკავშირე. სანამ ოჯახს შევქმნიდი, აჭარას მხოლოდ ბათუმით ვიცნობდი. ჩემს მთარგმნელობით საქმიანობას ნამდვილი აჭარის გაცნობაც მოჰყვა, რამაც ცნობიერება გამივრცო და გამახარა.

- თბილისი, გორი, მშობლიური ქუთაისი და კიდევ სხვა ადგილები იყო წლევანდელი შეხვედრების არეალი. გორს გამორჩეულ უპირატესობას ანიჭებთ...

- დიახ, შეხვედრები არაერთ ქალაქში მქონდა, მაგრამ გორის უნივერსიტეტით მოვიხიბლე, რადგან მისი ხელმძღვანელი სტუდენტების გასანათლებლად ენერგიას არ ზოგავს. როგორც კი გაიგო ჩემი თარგმანების შესახებ, მაშინვე მიმიწვია წიგნების წარდგინებაზე. ასეთ ღონისძიებებზე უარს არ ვამბობ, პირიქით, ადამიანების გასაცნობად, მათთვის ინფორმაციის მისაწოდებლად მეც მოწადინებული ვარ.

- როგორ აფასებთ იმ თანადგომას, რასაც დონორი ორგანიზაციები იჩენენ თქვენ მიმართ?

- მადლობის მეტი რა მეთქმის. მათ გარეშე ნაბიჯსაც ვერ გადავდგამ.

- ქართველებს საუკეთესო წიგნი „სიცილია ვულკანების მხარე“ აჩუქეთ. კიდევ ხომ არ აპირებთ სიცილიასა და სიცილიელებზე რაიმეს დაწერას?

- „სიცილია, ვულკანების მხარე“ მართლაც კარგი წიგნი გამოვიდა, შემეცნებითი პროზაა და ყმაწვილებს 12 წლის ზევით ბევრი რამის გაგებაში დაეხმარება. დიდ მადლობას ვუხდი ამისთვის საგამომცემლო სახლ „სეზანს“, მის დირექტორს, ქალბატონ მანანა კარტოზიას. შეკვეთას თუ მივიღებ, კიდევ ბევრს დავწერ. ინფორმაციას საკმაოდ ვფლობ სიცილიასა და სიცილიელებზე, საერთოდ, იტალიაზე. კარგი იქნება, თუ საგამომცემლო სახლები ამაზე ყურადღებას გაამახვილებენ.

- მრავალგზის აღიშნეთ, რომ გატაცებული ხართ ვიტალიანო ბრანკატის ნაწარმოებების თარგმანით...

- ვიტალიანო ბრანკატის რომანი „ლამაზი ანტონიო“ ჩემი საყვარელი ნაწარმოებია. საერთოდ, ყველა ჩემი თარგმანი შვილივით მიყვარს, მაგრამ როგორც მკითხველი, ძალიან მოვიხიბლე ამ რომანით. სამწუხაროა, რომ იტალიური ლიტერატურის ამ შედევრს საქართველოში მეტი აღიარება არ მოჰყვა. ამის მიზეზი ბევრია...

- იტალიელ ავტორებს პირადი შეხედულებით ირჩევთ თუ...

- იტალიელ ავტორებს ჩემი სურვილითაც ვირჩევ და შეკვეთითაც. თარგმნაში ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებ. აქვე ვიტყვი, რომ ჩემი პარტნიორია საგამომცემლო სახლი „საგა“ რომლის, დირექტორია თამარ ნაჭყებია. შესანიშნავი ქალბატონია, ჩემი თანამდგომი, საქმის მკეთებელი. ყველა თარგმნილი წიგნი ერთად გვაქვს გამოცემული.

- გაქვთ შესაძლებლობა, რომ ქართველ მწერალთა ნაწარმოებები იტალიელებს გააცნოთ?

- როგორ არა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საგამომცემლო სახლი მოისურვებს მათ იტალიაში გამოცემას.

- იტალიელებს ორი ქალიშვილი გაუზარდეთ. შვილების საქმიანობა, მათი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ როგორია?

- ორი შვილი გავზარდე, მაგრამ იტალიელებისთვის არა. ისინი, პირველ რიგში, ადამიანებად აღვზარდე და მერე, იმედი მაქვს, ისეთ პროფესიებს ეუფლებიან (არქიტექტურა და მუსიკა), რომ დედასავით ორი ქვეყნის კულტურას ერთმანეთს დააკავშირებენ. შვილები ქართულად შესანიშნავად საუბრობენ და საქართველოც ძალიან უყვართ.

- საბოლოოდ, სიცილია იქნება თქვენი საცხოვრისი თუ...

- ჩემი საცხოვრისი მე არ ამირჩევია, ეს ბედისწერაა... საქართველოში ცხოვრება სულ მინდოდა და მენდომება. ამაში გარწმუნებთ.

- გარდა მთარგმნელობითი მუშაობისა კიდევ რით ხართ დაკავებული?

- მთარგმნელობითი საქმიანობა საკმაოდ შრომატევადია. ასე რომ, ბევრი დრო არ მრჩება სხვა სამსახურისთვის.

- ქართველებსა და იტალიელებს ხასიათით ერთმანეთს ადარებენ...

- ქართველები და იტალიელები ერთმანეთს ხასიათითაც ჰგვანან და ფიზიკური აღნაგობითაც. ვერაფერს გამოვარჩევ განმასხვავებელს.

- პირველი იტალიელი, რომელმაც სამეგობროდ ხელი გამოგიწოდათ?

- იტალიელები საერთოდ კომუნიკაბელურები არიან. საკმარისია ავტობუსში გამოლაპარაკება, რომ მეგობარი უკვე შეძენილი გყავს. მქონია მსგავსი შემთხვევები.

- ჯერ ფორე მოსულიშვილმა, იტალიის ეროვნულმა გმირმა, გააცნო იტალიელებს საქართველო, ახლა ხვიჩა კვარაცხელიას ფენომენი ამოტივტივდა...

- სიცილიაზე ერთიც ცნობილია და მეორეც, მაგრამ ხვიჩა - მეტად, რადგან დღეს სამყაროს ფეხბურთითაა გატაცებული. ფეხბურთი უმრავლესობისთვის ყველაფერია.

იყო და საქართველო იტალიის ერო

– ერთიც ცნობილია და მეორეც, მაგრამ ეს უკანასკნელი – უფრო, რადგან სამყაროს ფეხბურთს ჰყავს დაპყრობილი დღეს. ფეხბურთი არის ყველაფერი უმრავლესობისთვის.

– ზაფხულში ჩამოვალ. სხვათა შორის, მე საქართველოში ძალიან ხშირად ჩამოვდივარ და თვეობითაც ვრჩები.

გმადლობთ!

„მჯერა საქართველოს გამარჯვების, მჯერა, რომ მავთულხლართები ჩამოიშლება“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

უდიდესი პასუხისმგებლობაა, წარმოადგენდე უცხოეთში შენს ქვეყანას - მიაჩნია მოლდოვას რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ ***ლევან დიასამიძეს****, რომელიც 20 წელზე მეტია დგას საქართველოს სამსახურში. როგორც ამბობს, ეამაყება, რომ შეუძლია ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს. განსაკუთრებით უყვარს ბათუმი, ადგილი, სადაც მისთვის ძვირფასი ადამიანები და მოგონებები ცხოვრობენ, ადგილი, რომელსაც თავის ნავსაყუდელს უწოდებს და თვლის, რომ მხოლოდ ბათუმს შეუძლია აგავსოს ისეთი ენერგიით, რაც მთელი წელი გაგყვება საგზლად.*

- რომ შემეძლოს, დავბრუნდებოდი...

- როგორც გენიალური ფრანგი მწერალი ამბობს, „ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“. ჩვენ ბავშვობაში ვიძენთ ყველა იმ თვისებას, რომლის მეშვეობით უნდა გავიაროთ ცხოვრების რთული გზა. ბავშვობა არის ადამიანის ხასიათის მთავარი სამჭედლო - როცა ვსწავლობთ სამშობლოს და მოყვასის სიყვარულს, ვიძენთ მეგობრებს, როცა გვიყალიბდება მორალი და ვხდებით, რა არის სინდისი. ამიტომ, ვფიქრობ, რომ მთელი ბავშვობის პერიოდი არის წარუშლელი მოგონება, სადაც ყველა ჩვენგანს სურს დაბრუნება...

- როგორი იყო პროფესიული გზის განვითარების ეტაპები?

- მე იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, სადაც მიღებული იყო: მშობლებმა უკეთ იციან, რა პროფესია უნდა აირჩიო შენ. შესაბამისად, თავიდანვე შეგუებული ვიყავი, რომ ოჯახის სურვილით იურისტი უნდა გავმხდარიყავი. თუმცა მე ბავშვობიდანვე უფრო მაინტერესებდა გეოგრაფია, ისტორია, პოლიტიკა. მაინც გადავწყვიტე, ოჯახის სურვილი დამეკმაყოფილებინა და ასე გავსულიყავი იმ გზაზე, რომელიც ჩემს ინტერესებთან მიმიყვანდა. აბიტურიენტობის ბოლო წელს გავიგე, რომ უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი გაიხსნა. რამდენიმე თვე იყო დარჩენილი მისაღებ გამოცდებამდე, როდესაც ჩემი პირველი „ხმამაღალი“ განცხადება გავაჟღერე ოჯახში: არ მინდა სამართალმცოდნეობა, მინდა ჩავაბარო საერთაშორისო ურთიერთობებზე. ჩემდა გასაკვირად, არავის წინააღმდეგობა არ გაუწევია. აი, ასე უცებ, სულ 3 თვეში შეეცვალეთ გადაწყვეტილება და მოვხვდი სასურველ - საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობაზე. შემდეგ იყო სტაჟირება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომლის შემდეგ, პრაქტიკულად, ყველა დიპლომატიური საფეხური გავიარე.

- იყოთ საქართველოს ელჩი მოლდოვაში, წარმოადგენდეთ თქვენს ქვეყანას, ნიშნავს...

- უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა, წარმოადგენდე უცხოეთში შენს ქვეყანას. რაც შეეხება მოლდოვას, ამ მშვენიერ ქვეყანაში გერმანიიდან გადავედი, სადაც მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობაზე წარმოვადგენდი ჩვენს სამშობლოს. მოლდოვაში გადმოსვლამდე არ მქონია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მუშაობის გამოცდილება. თუმცა, საინტერესოა, რომ აქ სახლში დაბრუნების განცდა დამეუფლა. მოლდოველები ძალიან თბილი და მეგობრული ერია. ბევრი რამ აკავშირებს ჩვენს ქვეყნებს. ჩემი მისიის პერიოდში, პირველ რიგში, ცხადია, შევეცდები, ხელი შევუწყო საქართველოსა და მოლდოვას შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარებას. მოგეხსენებათ, ამ ორ ქვეყანას ხანგრძლივი და მჭიდრო მეგობრობა აკავშირებს, გვაქვს საერთო ინტერესები და მისწრაფებები, ერთად გავდივართ ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზას, რომელსაც, ცხადია, კოორდინირებული ქმედებით და ინტენსიური თანამშრომლობით უფრო სწრაფად და ეფექტურად გავივლით. ორივე ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საწინდარი გახდება. ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს და მოლდოვას შორის თანამშრომლობა არა მარტო სამთავრობო, არამედ რეგიონების, ქალაქების, სკოლების, უნივერსიტეტების, კომპანიების და არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზეც ხორციელდებოდეს, ასევე, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა განათლება, მეცნიერება, ტექნოლოგიები, კულტურა და სპორტი, ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო განვითარდეს. ორივე ქვეყანას გვაქვს პოტენციალი, კიდევ უფრო გავზარდოთ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, რომელიც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საელჩოს საქმიანობაში. მოლდოვაში ჩემი მისიის დევიზია: „მეტი მოლდოვა საქართველოში და მეტი საქართველო მოლდოვაში“.

- მოგვიყევით თქვენს წილ ბათუმზე...

- ბათუმი მაბრუნებს ბავშვობაში, სადაც მყავს მეგობრები, სადაც დარჩა სკოლა... ბათუმს უკავშირდება ბებია, ბაბუა... მოკლედ, აქ გავატარე ჩემი ბავშვობა. ბათუმი არის ჩემი მთავარი ნავსაყუდელი, სადაც მუდამ გელიან, შეგიძლია ნებისმიერ დროს მიხვიდე და ღუზა მშვიდად ჩაუშვა, დაისვენო და ახალი ენერგიით დაუბრუნდე საქმეს. თამამად და გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ბათუმი შავი ზღვის სანაპიროს მარგალიტია და მსგავსი სილამაზის ქალაქი შავი ზღვის აუზში არ არსებობს.

- რას ნიშნავს თქვენთვის თავისუფლება?

- ალბათ, ბანალურად გამომივა, მაგრამ მაინც ასე ვიტყოდი: თავისუფლება ყველაზე დიდი მონაპოვარია ადამიანისთვის. თვითონ სიტყვა თავისუფლებაში დევს უკვე მისი დეფინიცია. მხოლოდ თავისუფალ ქვეყანაში შეიძლება ადამიანმა მოიპოვოს პიროვნული თავისუფლება. ამიტომ, ძალიან მიხარია, რომ მალე ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობას სწორედ თავისუფალ საქართველოში დაბადებული თაობა ჩაუდგება სათავეში. ყველა ჩვენგანის ვალია, მაქსიმალურად მოვუფრთხილდეთ ქვეყნის თავისუფლებას. აქვე დიდი აკაკი წერეთლის სიტყვებს მოვიშველიებ: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი!“.

- რას ეტყოდით ემიგრანტებს?

- ემიგრანტებს ვეტყოდი, რომ თითოეული მათგანი საზღვრებს მიღმა ჩვენი ქვეყნის სახე და საქართველოს დესპანები არიან. უაღრესად დიდია დიასპორის როლი ჩვენი ქვეყნის ცნობადობის საერთაშორისო ასპარეზზე კიდევ უფრო ამაღლებაში. მეორე მხრივ, ადრე თუ გვიან, ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ უცხოეთში, დიდი ნაწილი მაინც, აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს სამშობლოს და უცხოეთში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობას მოახმაროს.

- რა არის ის, რისიც ყველაზე მეტად გჯერათ?

- საუკუნეების განმავლობაში ქართველი ერი ცდილობს ევროპულ ოჯახში დაბრუნებას, ოჯახში, რომლის ჩამოყალიბებაში, გადაჭარბების გარეშე ვიტყოდი, ბერძნებთან და რომაელებთან ერთად, ჩვენც დიდი წვლილი მიგვიძღვის. ეს მისი უდიდებულესობა ქართველი ერის არჩევანია, რაც შეუქცევადი პროცესია. მხოლოდ ევროპაში აქვს დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოს არსებობის და გადარჩენის შანსი. ვფიქრობ, საერთო ძალისხმევით მალე მივაღწევთ სანუკვარ მიზანს. მჯერა საქართველოს გამარჯვების, იმისიც, რომ მავთულხლართები ჩამოიშლება და გამყოფი კედლები დაინგრევა. მჯერა, რომ საქართველო იქნება ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული და ევროპული!

„ვქსოვე და ვქარგე ჩემებური ორნამენტებით“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ლალი ორმოცაძე იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც შრომითი საქმიანობის გარკვეული პერიოდი გაზეთ „აჭარის“ („საბჭოთა აჭარის“) რედაქციასთან აკავშირებთ. უკვე შვიდ ათეულ წელსაა გადაცილებული და შემოქმედებით მუშაობას აგრძელებს. იგი ჩვენი სტუმარია

- ქალბატონო ლალი, საუკუნოვანი გაზეთის რედაქციაში მუშაობა როგორ დაგამახსოვრდათ?

- ჩემი ლამაზი, საინტერესო სტუდენტობის პერიოდის უმეტესი ნაწილი გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციას უკავშირდება. ვთანამშრომლობდი გაზეთთან, რამაც ჩემს მომდევნო, აქტიური ცხოვრების სარბიელზე დიდი და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. „აჭარის“ რედაქციასთან თანამშრომლობა დიდი პატივი გახლდათ ნებისმიერი ადამიანისთვის. ვემსახურებოდი კულტურისა და განათლების განყოფილებას, რომლის ხელმძღვანელი გახლდათ ჩვენი დიდი პოეტი და უნიკალური პიროვნება ბატონი შოთა ზოიძე. მადლიერი ვარ, სასარგებლო უნარები შევიძინე ჩემი უფროსი მეგობრის მხარდაჭერით. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს მის ლამაზ სულს.

- ცხოვრების მიზნად წინსვლა გაიხადეთ. მომავალს რა მიზანს მოახმართ?

- მომავლის ხანგრძლივობა, მხოლოდ უფლის ნებაა და იგი თუნდაც ხანმოკლე იყოს, არად დაგიდევთ, რადგან მე უკვე ვქსოვე და ვქარგე ჩემებური ორნამენტებით წარსულიცა და აწმყოც. მომავლის ერთ თვესაც კი ჩემს ვერშეუსრულებელ, სანუკვარ ოცნებას, - ფერწერას დავუთმობდი....

- საზოგადოება შემდგარ შემოქმედად გიცნობთ, რა ასაკში დაწერეთ ნაწარმოები?

- 12 წლისა უკვე ვბეჭდავდი ნამუშევრებს მაშინდელ საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში: „დილა“, „ნორჩი ლენინელი“, „საქართველოს ქალი“ და ა.შ.... ჩემი კალამი ბავშვობიდანვე პროზას ემსახურებოდა და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ლექსს დავწერდი. მუზა საკმაოდ გვიან მოვიდა, ოჯახური სტრესის ფონზე... ისეთი მძაფრი ემოციებით ავივსე, თითქოს, რაღაც ახალი სამყარო გაიხსნა ჩემს გონებაში...

- პოეზიას, პროზას მხატვრობასაც უთავსებთ.

- პოეზიის ლაბირინთებში მოთარეშე, საკუთარ თავს ვერ აღვიქვამ პოეტად. იყო პოეტი - უდიდესი პასუხისმგებლობა, სათუთი მისია გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ პოეტური სულით ვცხოვრობ, პროზაში უფრო თავდაჯერებულად ვგრძნობ თავს. რაც შეეხება მხატვრობას, შორს ვარ პროფესიონალი მხატვრის ოსტატობისგან. ეს ჩემი ჰობი გახლავთ, უმეტესად, ჩემი შემოქმედების პერსონაჟებს ვხატავ... ჩემთვის ძვირფასზე გაცილებით აღმატებულია ჩემეული გალაკტიონის პორტრეტი, გალაქტიკური სამყაროს ფონზე შექმნილი... დიახ, ძალიან მიყვარს პოეზიის ხელმწიფის მიუწვდომელი ნიჭის სიდიადე, სახე, თვალები...

- იყო, მხატვარი, მწერალი, ბუნებით ბოძებული ნიჭია, მაგრამ ამასთან ერთად, იყო სამი შვილის ლამაზად გამზრდელი დედა, ეს უძვირფასესი მისიაა. დედის როლი რა ადგილს იჭერს თქვენს შემოქმედებაში?

- დედობა განუმეორებელი შეგრძნებაა, რომელიც თავისთავად უფლის ტოლი შესაძლებლობაა - გამჩენელი ხარ ახალი ადამიანების. დროის დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, მერწმუნეთ, შვილების ლაშქარი მეყოლებოდა. თუმცა არც ისე იოლი მისია გახლავთ, რადგან დედა იმდენი შვილის ცხოვრებით ცხოვრობს, რამდენიცა ჰყავს, რთულია გადანაწილდე თითოეულის ცხოვრებაზე, მაგრამ დედამ ეს უნდა შეძლოს!

- რედაქცია, აუდიტორია, სკოლა იყო თქვენი საქმიანობის არეალი. ყველაზე მეტად რომელ სფეროში გრძნობდით თავს ბედნიერად?

- ეს ყველაფერი, რაც ჩამოთვალეთ, ადამიანებს უკავშირდება. იმდენად მიყვარს ნებისმიერი ადამიანი, რომ ყველა სფეროში ბედნიერებას მარგალიტებივით ვკინძავდი და სულის სკივრში ვინახავდი. არ არსებობს ცუდი ადამიანი, გარემო ვითარებამ შექმნა იგი ასეთად ან ისეთად, თუკი მოეფერები, გაუგებ, სიყვარულს აჩუქებ, სულიერ მშვენიერებას შეაგრძნობინებ, იგი შეიცვლება (გამონაკლისი იშვიათობაა). შეიცვლება და ამაღლდება, რადგან მედალიონს ორი მხარე აქვს, ჩვენ ყოველთვის დადებითი კუთხიდან უნდა დავინახოთ ადამიანი. განსაკუთრებით მომწონდა მოსწავლე-ახალგაზრდობასთან ურთიერთობა, მეგობრობა, საუბრები, ეს განსხვავებული სამყაროა. მათთან ურთიერთობით საინტერესო ადამიანები გავიცანი, თან ბევრი რამ შევიმეცნე კიდეც.

- ცალუღლობა მძიმე ტვირთია. ორ ათეულ წელზე მეტია ასე მოდიხართ. მერაბ ფირცხალაშვილი თქვენს ცხოვრებაში როგორ შემოვიდა?

- დიახ, ჭეშმარიტებას ბრძანებთ, უღელიც იმიტომ ჰქვია, წყვილმა უნდა გასწიოს, როგორც ნიშა და ლაბა ხარებმა... ცალად გაწეული უღელი მძიმე გახლავთ... ასე თუ ისე, გამოვცადე მაინც... მერაბი ჩემი ლამაზი ბავშვობის მეგობარი გახლდათ... სამი წლისანი სილაში სახლებს ვაშენებდით... მაშინ დამპირდა, როცა გავიზრდებით, ნამდვილ სასახლეს აგიშენებო. გაიზარდა ჩემი ოცნების უფლისწული, ამიშენა კიდეც ნავსაყუდელი და ჩვენ „სახლობანას“ თამაში ნამდვილ სახლში გავაგრძელეთ სამ უსაყვარლეს თოჯინასთან ერთად... ადრე წავიდა, თუმცა მერაბის მარადიულ არსებობას ჩვენ გამუდმებით ვგრძნობთ....

- შვილები დედის გზას აგრძელებენ თუ....

- სამივე დაჯილდოებულია ხელოვნების ნიჭით. უფროსი, ანა, ამჟამად მუშაობს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ვიცე-რექტორად, შუათანა - გიორგი, ხელოვნების მსახურია. ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი გახლავთ, სხვადასხვა ხელოვნების ცენტრში მიწვეულია რეჟისორად. ახალი სპექტაკლებისთვის სცენარებსაც თავად წერს. უმცროსი - ერეკლე, შესანიშნავად ხატავს, ხეზე ტვიფრავს, მუსიკას ქმნის. უყვარს ცხოველები და მცენარეები, საზღვაო აკადემია აქვს დამთავრებული და ახლა მენავთობის პროფესიასაც ეუფლება.

- პოეზიაში გალაკტიონს ეთაყვანებით, პროზაში?

- დიახ, გალაკტიონი ჩემი თანმდევი, სულიერი მეგობარი გახლავთ. გამოსაცემიც მაქვს კრებულის სახით „გალაკტიონოლოგია“. პროზის გენიებს რა გამოლევს, მაგრამ ჩემი რჩეულნი გახლავთ დიდი კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, ნოდარ დუმბაძე, ონორე დე ბალზაკი.... საინტერესო ნაშრომი მქონდა „ზედმეტი ადამიანის ტიპი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში“, რომელიც ყველა ეპოქის ადამიანთა ცხოვრებისეულ ყოფიერებას გამოხატავს....

- სიტყვა, რომელიც თქვენს შემოქმედებაში მრავალგზის მეორდება...

- მისტერია!!! - რადგან სიტყვა უკავშირდება იდუმალების ფენომენს, იდუმალება კი ადამიანთა თანდაყოლილი ინტერესი გახლავთ სამყაროს შეცნობასთან მიმართებაში.

- თუ საიდუმლო არაა, ახლა რა ნაწარმოებს ამზადებთ გამოსაცემად?

- რამდენიმე წიგნი მაქვს გამოსაცემი. ლექსები, ესეები, ნოველები დამიგროვდა... მაგრამ ერთი ძალზედ ვრცელი, მართლაც მნიშვნელოვანი თხზულების გამოცემა, რომელსაც „პაემანი ზეცაში“ ჰქვია, მტკივნეულად მაწევს სულზე, იგი გახლავთ ლიტერატურული, მრავალფეროვანი ჟანრით, თანაზომიერად გაჯერებული მხატვრული მონათხრობი. ნაწარმოების შესავალშივე დომინირებს ეპისტოლურ-ფილოსოფიური ხასიათის შთამბეჭდავი მსჯელობა. რომანში ვეცნობით გეორგიევსკის ტრაქტატის შემდგომდროინდელი ეპოქის ვითარებას საქართველოში, სამშობლოდან გადახვეწილ ბაგრატიონთა ერთ-ერთი შთამომავლის ცხოვრებას საფრანგეთში. ნაწარმოებში ასევე აღწერილია საქართველოში არსებული სამოცი ტაძრის ხუროთმოძღვრება, რომლის თანმდევია იმდროინდელი საქართველოს იტორიულ-სახელმწიფოებრივი, სასულიერო და ყოფითი ცხოვრება. თხზულებაში გადმოცემულია ქართველი და ფრანგი ხალხის ადრეული საუკუნეებიდან თანამედროვეობამდე, განვითარებული მეგობრული, კულტურული, სარწმუნოებრივი ურთიერთობები.

- შემოქმედს მუდამ აქვს ეკონომიკური სიმწირე. რა ხერხებს მიმართავთ, რომ ახალი ნაწარმოები მკითხველმა იხილოს?

- არანაირ ხერხებს არ დავეძებ, ვერასოდეს ვთხოვ სხვას, თუნდაც ახლობელ მილიარდერს, ფულით დამეხმაროს. შვილები მაიმედებენ, რომ თავად შეძლებენ, ერთიანი ძალისხმევით, დედის გული გაახარონ. მჯერა მათი, ვენდობი და ველოდები ახლო მომავალში თანადგომას.

- თავისუფალ დროს შვილებსა და შვილიშვილებზე ზრუნვას უთმობთ თუ შემოქმედებით საქმიანობას?

- დროს ვანაწილებ, მაგრამ ამ ასაკში, ძირითადად, ისინი ზრუნავენ ჩემზე. შვილიშვილები ჩემი საუკეთესო, თბილი, გულისხმიერი მეგობრები არიან, ვსაუბრობთ ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე. ასაკი არ გვიქმნის არანაირ ბარიერს ურთიერთობებში. ნიჭიერები, წიგნიერები არიან. 13 წლის ლაზარე საოცრად მზრუნველი, თბილი, მოსიყვარულე ბავშვია, უფროსი - 18 წლის ბართლომე უკვე ჩამოყალიბებული, დახვეწილი, ზრდილი, ასევე მზრუნველი პიროვნება გახლავთ. ამ წელს გახდა სტუდენტი, სწავლობს გერმანიაში. არც იმ შორეული ქვეყნიდან აკლებს ბებოს ყურადღებასა და მოფერებას.

- რაა მთავარი, რომ სხვისი გული გაახაროთ?

- გაგება, სიყვარული, მოფერება, და, რაც მთავარია, ადამიანს უნდა ესაუბრო მისსავე პრობლემებზე, რომ მან თავი დაცულად, მყუდროდ და კომფორტულად იგრძნოს შენს სითბოსთან საიმედოდ შეფარებულმა.

- პიროვნება, რომელიც თანადგომისა და მეგობრული ურთიერთობების ნიმუშად რჩება თქვენი ცხოვრებისა და შემოქმედების გზაზე?

- სამწუხაროდ, ორი სასუფევლის ბინადარია, თუმცა, მე გარკვევით ვგრძნობ მათ თანადგომას, აზრებით ვესაუბრებით ერთმანეთს. ჩემი მეუღლე, უახლოესი, სულიერი მეგობარი, მერაბი... ასევე ჩემი უახლოესი, სკოლის, სტუდენტობის (ვიდრე გარდასვლამდე), ერთსულზიარი ნანა მეფარიშვილი, ქალი ენციკლოპედია, უნიჭიერესი, უიშვიათესი, ერთგული მეგობარი, სულიერი საყდარი.

- ცხოვრების გზაგასაყარზე რომ იდგეთ, რა გზას აირჩევდით?

- ისევ და ისევ, იგივეს.

- ოცნება, რომლის ასრულებას დღემდე ცდილობთ?

- ხატვა, ხატვა და ხატვა.

- რა გაშინებთ, რა გღლით და რა გეზარებათ?

- მაშინებს ახლობლების დაკარგვა ნებისმიერი სახით - გარდაცვალებით, წყენით, უსამართლობით, უყურადღებობით.... მღლის უსაქმურობა... მეზარება და აუტანელია ჩემთვის ტყუილი, გაიძვერობა, ერთი ადამიანის მიერ მეორის ჩაგვრა.

- ხმაურიანი ქალაქის სოფელზე გაცვლა თუ გიცდიათ?

- როგორ არა. გურიაში გვაქვს სახლი, სადაც მთელი ოჯახი ცხოვრების ნახევარს ვატარებთ. ეს არის სამოთხე. თუმცა, ხშირად მინატრია, სადმე შორს, სვანეთის თოვლიან მთებში დავსახლებულიყავი...

- ტკივილი, რომელიც დღემდე ვერ მოინელეთ?

- ჩემი ახალგაზრდა, უმშვენიერესი დაიკო ქეთევანი. ჩემი შვილების მამა, მეგობარი, გულშემატკივარი - მერაბი....

- რომელ ქვეყანაში ცხოვრებას ისურვებდით?

- თუნდაც ათასჯერ მოვიდე ამქვეყნად, ყოველ დაბადებისას იესო ქრისტეს დედულეთს ავირჩევ სამკვიდროდ, რადგან ჩემი მარადიული ფესვები აქ, საქართველოშია!

- დაბოლოს, იქნებ თქვენი საყვარელი ლექსით დაგვემშვიდობოთ?

- მადლობა ამ შემოთავაზებისთვის. მე ვამაყობ ჩემი მრავალჭირნახული აჭარით.

აჭარელი

უფალ - კაცი, მზე - მთვარისა,
ცა - მიწისა,
ფოლად - მტკიცე, რვალ -
ზნიანი, სულ - მზიანი,
კუთხე ძველი, ხალხი გამძლე,
სიცოცხლის და
ღვთის სადგომი ათასეულ
წელთა სივრცის,
კოლხთა, ლაზთა გუთნისდედის
ფესვის ძირი
საგალობო, სარუდუნო, საარაკო
მშვილდ-მახვილით, ვაზით,
ხარით, აკვნის რწევით,
ნასისხლარი ჭოროხით და
ქრისტეს რწმენით.

„იმდენად მიყვარს ნებისმიერი ადამიანი, რომ ყველა სფეროში ბედნიერებას მარგალიტებივით ვკინძავდი და სულის სკივრში ვინახავდი. არ არსებობს ცუდი ადამიანი, გარემო ვითარებამ შექმნა იგი ასეთად ან ისეთად, თუკი მოეფერები, გაუგებ, სიყვარულს აჩუქებ, სულიერ მშვენიერებას შეაგრძნობინებ, იგი შეიცვლება (გამონაკლისი იშვიათობაა). შეიცვლება და ამაღლდება, რადგან მედალიონს ორი მხარე აქვს“

საქართველოში ბავშვთა ონკოლოგიური კლინიკის შექმნა იგეგმება

ჯანდაცვის სამინისტრო მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრ ზურაბ აზარაშვილის გადაწყვეტილებით, ქვეყანაში ბავშვთა ონკოლოგიური სახელმწიფო კლინიკის შექმნა და ჰემატო-ონკოლოგიური სერვისების გაფართოება იგეგმება.

უწყების ცნობით, სამინისტროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებიც თელ-ავივში, ონკო-ჰემატოლოგიური მიმართულებით წამყვან სახელმწიფო კლინიკებში - Sheba Tel Hashomer Hospital, Ichilov Medical Center და Hadassah Medical Center იმყოფებოდნენ.

„ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა კლინიკების ხელმძღვანელებთან და კლინიცისტებთან შეხვედრები გამართეს და ჰემატო-ონკოლოგიური სერვისების მიმართულებით დანერგილ პრაქტიკასა და გამოცდილებას გაეცნენ. მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებიც განიხილეს. შეხვედრები გაიმართა ბავშვთა ონკოლოგიის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთანაც, რომლებიც არასაბიუჯეტო თანხების მობილიზებითა და საყოველთაო სოლიდარობით ისრაელში ბავშვთა ონკოლოგიური სერვისების განვითარებას უწყობენ ხელს. ჯანდაცვის სამინისტროს სამუშაო ჯგუფის ვიზიტი ისრაელში საქართველოს საელჩოსა და საქართველოში ისრაელის ელჩ ჰადას მეიცადის ხელშეწყობით გაიმართა. შეხვედრებში, სამუშაო ჯგუფთან ერთად, მონაწილეობდა საქართველოს ელჩი ისრაელში ლაშა ყვანია. საქართველოში ბავშვთა ონკოლოგიური სახელმწიფო კლინიკის შექმნის პროცესში უწყება განვითარებული ქვეყნების (საუკეთესო) გამოცდილების გაზიარებასა და პროცესში უცხოელი ექსპერტების ჩართვას გეგმავს. ისრაელის შემდეგ, სამუშაო ჯგუფის წევრები ჰემატო-ონკოლოგიური სერვისების მიმართულებით არსებულ პრაქტიკას გერმანიაში გაეცნობიან“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

დაიჯესტი... რესპირატორულ ვირუსულ ინფექციებზე

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ვირუსულ ინფექციას ორგანიზმში საზიანო ვირუსის შეჭრა იწვევს, ინფექციის სიმპტომები კი როგორც ვირუსის ზემოქმედებით ქსოვილის დაზიანებისას, ისე ორგანიზმის იმუნური სისტემის ამოქმედებისას ვლინდება

ადამიანის ინფიცირება 220-მდე ვირუსს შეუძლია, რომლებიც რამდენიმე ტიპად იყოფიან: რესპირატორული (სასუნთქი გზების), კანის, საკვებით და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გამომწვევები. ყველაზე გავრცელებული ტიპი რესპირატორული ვირუსული ინფექციებია, რომლებსაც ცხვირის, ყელის ან ფილტვის უჯრედების ვირუსით ინფიცირება იწვევს. ყველაზე გავრცელებული ვირუსული ინფექციებია გაციება, სეზონური გრიპი, რესპირატორულ-სინციტიური ვირუსი და ა.შ.

ბავშვი ნებისმიერ ასაკში 6-დან 12-მდე ვირუსული ინფექციით შეიძლება დაავადდეს. ბავშვი, რომელიც ხშირად ავადობს ვირუსული ინფექციით, არ ნიშნავს, რომ მას სუსტი იმუნური სისტემა აქვს. წლების განმავლობაში სხვადასხვა ვირუსის ზემოქმედებით გამომუშავდება იმუნიტეტი მათ მიმართ და, ასაკის მატებასთან ერთად, ის უფრო იშვიათად გახდება ავად.

რესპირატორული ვირუსული ინფექციების სიმპტომები ყველასთვის ნაცნობია: სურდო ან გაჭედილი ცხვირი, ცემინება, ხველა, სიცხე, ყელის ტკივილი, თვალების სიწითლე...

ვირუსული ინფექციების უმრავლესობა საშუალოდ 1 კვირას გრძელდება, თუმცა ინფიცირების სიმძიმიდან გამომდინარე, ავადობა ან მისი ზოგიერთი სიმპტომი შესაძლოა გახანგრძლივდეს. ცხელება, საშუალოდ 3-5 დღე გრძელდება.

ვირუსი ვრცელდება ინფიცირებული ადამიანის დახველების, დაცემინების, დაბინძურებული ხელით კონტაქტის შედეგად. გადადის ადამიანიდან ადამიანზე მჭიდრო კონტაქტით, დახურულ სივრცეში, ახლო მანძილზე, ჰიგიენის წესების დაუცველობით, ჰაერწვეთოვანი გზით.

ვირუსი ცოცხალ უჯრედში უნდა შეიჭრას, რომ გამრავლდეს, შლის უჯრედის დნმ-ს ან რნმ-ს, ათავისუფლებს მას და თავის კონტროლქვეშ გადაჰყავს, აიძულებს მას, მოახდინოს ვირუსის გამრავლება. ინფიცირებული უჯრედი, ჩვეულებრივ, კვდება, ვინაიდან ვირუსი არ აძლევს მას ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას. როცა უჯრედი კვდება, იგი ახალ ვირუსებს ათავისუფლებს, რომლებიც მიემართებიან სხვა უჯრედების დასაინფიცირებლად. მაგალითად, გაციების ვირუსები ზემოქმედებენ მხოლოდ ზედა სასუნთქი ტრაქტის უჯრედებზე.

ორგანიზმს გააჩნია ვირუსებისგან დაცვის მთელი რიგი მექანიზმები. მაგალითად, ფიზიკური ბარიერები, როგორიცაა კანი, რომელიც

იცავს ორგანიზმს ვირუსის ადვილად შეღწევისგან. ინფიცირებული უჯრედები დაცვის მიზნით გამოიმუშავებენ ინტერფერონს, რომელსაც შეუძლია არაინფიცირებული უჯრედები გახადოს უფრო რეზისტენტული ვირუსული ინფექციების მიმართ.

როდესაც ვირუსი შედის ორგანიზმში, იგი ასტიმულირებს ორგანიზმის იმუნური დაცვის მექანიზმის ამუშავების პროცესს. ეს დაცვა იწყება სისხლის თეთრი უჯრედებიდან, როგორიცაა ლიმფოციტები და მონოციტები, რომლებიც უტევენ ვირუსებს და მათ მიერ დაინფიცირებულ უჯრედებს, ასევე, იმახსოვრებენ მათ და მომავალში შეუძლიათ ამ ვირუსის უფრო სწრაფი ამოცნობა და ეფექტური რეაგირება მის მიმართ, ეს არის სწორედ იმუნიტეტის გამომუშავების პროცესი. იმუნიტეტის ჩამოყალიბება შეიძლება ასევე ვაქცინაციის გზითაც.

ყველაზე გავრცელებულ - ყელის, ცხვირის, ზედა სასუნთქი გზების ინფექციებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახასიათებს ყელის ტკივილი, სინუსიტები, სურდო. გრიპი არის ვირუსული რესპირაციული ინფექცია. მცირე ასაკის ბავშვებში ვირუსები ხშირად იწვევს კრუპს და ზედა სასუნთქი გზების ანთებას (ლარინგოტრაქებრონქიტი) ან ფილტვებში არსებული ბრონქიოლების ინფექციებს (ბრონქეოლიტი). რესპირაციული ინფექციები უფრო მძიმედ მიმდინარეობს ჩვილებში, ხანდაზმულ ადამიანებში, ფილტვებისა და გულის პათოლოგიების მქონე პირებში, ორსულებში...

უმეტეს შემთხვევაში, ვირუსული ინფექცია არ არის საგანგაშო დაავადება, მაგრამ თუ ბაქტერიული ინფექციაც დაერთო, 10%-ში ადგილი აქვს სერიოზულ გართულებებს.

გავრცელებული ვირუსული ინფექციების დიაგნოსტიკა არსებულ სიმპტომებს ეყრდნობა. ისეთი ინფექციების დროს, რომელსაც ეპიდემიური ხასიათი აქვს (მაგ. გრიპის ეპიდემია), მსგავსი კლინიკური შემთხვევების არსებობა ეხმარება ექიმებს დიაგნოზის დასმაში. სხვა, განსხვავებული ინფექციების დროს უნდა გაკეთდეს სისხლის ანალიზი და დათესვა. სისხლის ანალიზით იკვლევენ ვირუსების საწინააღმდეგო ანტისხეულების არსებობას. პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქციის მეთოდის გამოყენებით შეიძლება ვირუსის გენეტიკური მასალის ბევრი ასლის გეკეთება და მისი სწრაფი გამოვლენა ექიმს აღარ გაუჭირდება.

ვირუსული ინფექციით ავადობის დროს ყველაზე ხშირი პრობლემაა სახიფათო ნიშნების დროული ამოცნობა. ამიტომ რისკ-ჯგუფის მქონე პაციენტებმა დროულად უნდა მიმართონ ექიმს. ინფექციის გამწვავების საყურადღებო ნიშნებია: ძალიან მაღალი ცხელება, რომელიც არ ემორჩილება სიცხის დამწევს (პარაცეტამოლი, იბუპროფენი...), განგრძობადი დიარეა და ღებინება, სითხისა და საკვების არმიღება (იქმნება გაუწყლოების საშიშროება); სუნთქვის გაძნელება და გახშირება, ძლიერი აგზნებადობა, მცირეწლოვან ბავშვებში შეიძლება აღინიშნოს კრუნჩხვაც. ამ სიმპტომების გამოვლენისთანავე პაციენტის ჰოსპიტალიზაცია აუცილებელია.

ბავშვებს სუნთქვის გაძნელება უვითარდებათ, როცა ვირუსულ ინფექციას ემატება ხიხინი ან ბრონქოსპაზმი, განსაკუთრებით, მცირე ასაკის ბავშვებში. ბავშვები უნდა მოვათავსოთ კომფორტულად, თბილად, მივაღებინოთ დიდი რაოდენობით სითხე.

თუ ცხვირი გაჭედა და სუნთქვა ჭირს, უნდა ჩავასხათ ავადმყოფს რამდენიმე წვეთი მარილიანი წყალი ნესტოში, რაც ამცირებს ცხვირის ლორწოვანის შეშუპებას. შემდეგ გავუსუფთაოთ ცხვირსახოცით ან სპეციალური ჰაერის ამოსატუმბით. ეს განსაკუთრებით აუცილებელია მცირე ასაკის ბავშვებისთვის, რადგან ისინი ძუძუთი ან ბოთლით იკვებებიან და გაჭედილი ცხვირი ხელს უშლის წოვას. დატენიანებული ჰაერი ბავშვის ოთახში ბევრად შველის მდგომარეობას.

ხშირად ხველა არის ვირუსული ინფექციის გამოვლენის ერთ-ერთი ფაქტორი. ხველა ძლიერდება ღამის საათებში. ზდასრულებში ინიშნება ამოსახველებელი, ნახველის გამათხიერებელი ან ძლიერი მშრალი ხველის დროს - ხველის ცენტრის დამთრგუნველი პრეპარატები, ასევე ანტიჰისტამინური საშუალებები. ბავშვებში ხველის დროს არ მიმართოთ თვითმკურნალობას, რადგან ინტენსიური ხველა ზოგჯერ გართულების მანიშნებელია. აუცილებელია ექიმის კონსულტაცია. თვითნებურად არ შეიძლება ანტიბიოტიკების მოხმარება, რადგან ისინი არ მოქმედებენ ვირუსული ინფექციებზე. ანტიბიოტიკებს ნიშნავს ექიმი, თუ ვირუსული ინფექცია გართულდა ბაქტერიული ინფექციით. ანტიბიოტიკებმა შესაძლოა გამოიწვიოს დიარეა, ღებინება, გამონაყარი...

ექიმს უნდა მიმართოთ, თუ: ბავშვი არის 3 თვის ასაკამდე; ტემპერატურამ აიწია დაავადების დაწყებიდან რამდენიმე დღეში; ბავშვს ტემპერატურა უგრძელდება 5 დღეზე მეტ ხნს; ბავშვს 10 დღეზე მეტია, აქვს გამონადენი ცხვირიდან; თვალებიდან აქვს მოყვითალო ფერის გამონადენი, ცხვირის გაჭედვის გამო ბავშვი ვერ სვამს საკმარისი რაოდენობის სითხეს; აქვს ტკივილი გულმკერდის რეში; აქვს ყურის ტკივილი ან გამონადენი ყურიდან...

აუცილებლად გამოიძახეთ 112, თუ: ბავშვი არის ძილად მივარდნილი (ლეთარგიული) ან პირიქით - აგზნებული; უჭირს სუნთქვა, ტუჩები აქვს ლურჯი; სტკივა ან დაჭიმული აქვს კისერი; სტკივა თავი...

ბევრი ანტივირუსული მედიკამენტი მოქმედებს ვირუსის გამრავლების პროცესში ჩართვის გზით. ამასთან, მათ ახასიათებს ტოქსიკურობა ადამიანის საკუთარ უჯრედებთან მიმართებაში, ასევე, ანტივირუსული პრეპარატების მიმართ ზოგიერთი ვირუსი რეზისტენტობას გამოიმუშავებს. A გრიპზე გამოიყენება ამანტადინი, რომელსაც გარკვეული გვერდითი ეფექტები გააჩნია. ასევე, A და B გრიპის დროს გამოიყენება ოსელტამივირი, ხოლო რიბავირინი ინიშნება რესპირაციულ-სინციტიური ვირუსული ინფექციების დროს, განსაკუთრებით - ბავშვებში, რაღა თქმა უნდა, ექიმის მკაცრი კონტროლითა და ზუსტად შერჩეული დოზირებით. A და B გრიპის დროს ასევე გამოიყენება ზანამივერი (საინჰალაციო ფხვნილი), რიმანტადინი - A გრიპის დროს და სხვა.

ზოგიერთი ანტივირუსული მედიკამენტი აძლიერებს იმუნურ პასუხს ვირუსული ინფექციის მიმართ (მაგ. ინტერფერონი, იმუნოგლობულინები, ვაქცინები).

რესპირატორული ინფექციების დროს მკურნალობა უმეტესწილად, სიმპტომურია. მაღალი ტემპერატურის, კუნთების, თავის, ყელის ტკივილის დროს ინიშნება არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები (პარაცეტამოლი, იბუპროფენი, ასპირინი - მხოლოდ ზრდასრულებში და არამც და არამც - ბავშვებში), ცხვირის სპრეები და წვეთები სურდოს დროს, საინჰალაციო საშუალებები, ბევრი სითხე და ჰიგიენური პირობების დაცვა, ჰაერის განიავება ხშირად...

პრევენციის საუკეთესო საშუალებაა ჰიგიენის წესების დაცვა, ვაქცინიაცია, რომელიც შემდგომი გართულებებიდან დაგვიცავს.

ოქროს წესად უნდა გვექცეს, განსაკუთრებით ეპიდსიტუაციების დროს, ხელების ხშირი დაბანა, შენობის განიავება, სადაც ხშირად ვიმყოფებით, ხალხმრავალი ადგილებისთვის თავის არიდება, ინფიცირებული პირის მიერ ნიღბის ტარება (ვირუსისგან მნიშვნელოვნად დაგვიცავ). სეზონურ ვირუსებზე ვაქცინაცია ბავშვებში 6 თვის ასაკიდანაც კი შესაძლებელია. ვაქცინაცია განსაკუთრებით აუცილებელია მცირეწლოვანი ბავშვებისთვის, ხანდაზმულებისთვის, ორსულებისთვის და ქრონიკული და ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირებისთვის.

უკრაინას - ესპანეთისგან

უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ალექსი რეზნიკოვმა ესპანელ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ესპანეთმა უკრაინას პირველი Hawk საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები გადასცა.

„მივიღე ოდესაში ესპანეთის თავდაცვის მინისტრი მარგარიტა რობლესი. პატივი მივაგეთ უკრაინისთვის ბრძოლებში დაღუპული გმირების ხსოვნას და მოვინახულეთ ჩვენი მებრძოლები საავადმყოფოში. ესპანეთი მხარს უჭერს უკრაინას: ჰუმანიტარული დახმარება და დახმარება უსაფრთხოების სფეროში გაგრძელდება. მეტი ჩვენი მებრძოლი გაივლის წვრთნას ესპანეთში. ესპანეთმა უკვე გადმოგვცა ჩვენი პირველი Hawk“, - განაცხადა რეზნიკოვმა.

ამირან გურიელიძე

„ნაპოლის“ ექიმმა კვარას მდგომარეობაზე ისაუბრა

საქართველოს ნაკრებისა და „ნაპოლის“ შემტევი ხვიჩა კვარაცხელია ერთთვიანი პაუზის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა და გუშინწინ წვრთნაშიც მიიღო მონაწილეობა. ხვიჩა „ნაპოლისთან“ ერთად თურქეთში იმყოფება და ამხანაგური შეხვედრებისთვის სრულფასოვნად ემზადება.

ხვიჩას მდგომარეობის შესახებ Corriere dello Sport-თან „ნაპოლის“ სამედიცინო შტაბის ხელმძღვანელმა რაფაელე კანოჩიომ ისაუბრა და განაცხადა, რომ ქართველი ფეხბურთელი სრულად გამოჯანმრთელდა: „კვარა გუნდში უკვე დაბრუნდა და ის სრული დატვირთვისთვის მზადაა. ზურგის ტკივილმა გადაიარა. ოსიმენიც გამოჯანმრთელდა წელის არეში მიღებული დაზიანებისგან. რაც შეეხება რაჰმანის, მასთან მუშაობას ვაგრძელებთ და სწრაფად ვპროგრესირებთ. ვგეგმავთ, რომ ის „ინტერთან“ მატჩისთვის დაბრუნდეს“.

შეგახსენებთ: ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლის“ შემადგენლობაში „ლივერპულთან“ მატჩის შემდეგ არ უთამაშია. ქართველ ფეხბურთელს ზურგის ტრავმა ჰქონდა, რის გამოც „ატალანტასთან“, „ემპოლისთან“ და „უდინეზესთან“ მატჩები გამოტოვა.

„ნაპოლი“ მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ სერია A-ში პირველ შეხვედრას 4 იანვარს სტუმრად „ინტერის“ წინააღმდეგ გამართავს.

ამირან გურიელიძე

„ერთ დღეს ვერ იცნობს ბათუმს - ბათუმი, გაუცხოვდება ძველი მშვენება“

მე-4 გვერდიდან

იქ ვივიწყებ ადამიანურ ტკენებს
და წყენებს და ხანდახან სიკვდილსაც კი. ჩემი ყველაზე დიდი წამალი
წვიმის ხმაა, განსაკუთრებით ღამით და მერე ზღვასთან ანკესით განმარტოება, სადაც ბევრჯერ დავრჩენილვარ წვიმაში მარტო...

- სამშობლო არის...

- „სამშობლო მიწის ნაჭერია - სხვა
არაფერი,
სამშობლო მიწის ნაჭერია,
რომელზეც ვდგევარ;
აქეთ ყინულის უდაბნოა, იქ -
ქარაფები,
შუაში მე ვარ!
სამშობლო მიწის ნაჭერია,
არაფერი სხვა,
მიწა იმ ტერფის ოდენია,
რომელზეც ვდგევარ;
ბიჯს ვერ მომიცვლის ვერც მტრის
ხმალი, ღვთის შერისხვა,
უტეხი კლდე ვარ!
სამშობლო მიწის ნაჭერია, განა სხვა
რამე,
სამშობლო მამის საფლავია,
რომელზეც ვდგევარ;
თვალს არ მოვხუჭავ, ვიდრე
ირგვლივ ფხიზლობს წკვარამი,
მამის სისხლი და მამის ლუკმა იყოს
არამი -
უქმად თუ ვდგევარ!
სამშობლო მიწის ნაჭერია, სხვა
არცრაიცა,
მოვკვდები, მიწად გარდვიქცევი,
რომელზეც ვდგევარ;
მშობლის საფლავს კი ახლა ჩემი
შვილი დაიცავს,
სამშობლო მიწის ნაჭერია, სხვა
არცრაიცა,
სამშობლო მე ვარ!“.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 2/12/22, 21 10 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

დავით კლდიაშვილის ღვაწლი – ბათუმის ისტორიაში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის მწერალთა სახლისა და აჭარის მწერალთა კავშირის ინიციატივით, საინტერესო ლექცია-საუბარი გაიმართა, რომელზეც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა შორენა მახაჭაძემ დავით კლდიაშვილის კლასიკური მემუარები - „ჩემი ცხოვრების გზაზე“ გაიხსენა. წელს მწერლის დაბადებიდან 160 წელი შესრულდა

როგორც ქალბატონმა შორენამ აღნიშნა: „ამ მემუარებში „ცრემლიანი სიცილის“ დიდოსტატმა, „შემოდგომის აზნაურთა“ ტრაგიკომიკური ეპოპეის შემოქმედმა, გენიალური სისადავით, მიუკერძოებლად, გულწრფელად დაგვიხატა ჩვენი ქალაქის ისტორია, გვიჩვენა, თუ როგორ იქცა ჭაობიან-ციებიანი, ტალახიანი და ქოხმახებიანი ადგილი მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად და პორტად, როგორ იზრდებოდა და მშვენდებოდა ბათუმი. მან გაგვიცოცხლა იმ ადამიანთა პორტრეტები, რომელთაც უდიდესი წვლილი შეეტანეს ბათუმის ისტორიაში.

დავით კლდიაშვილმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ჩვენს კუთხეს, ქალაქს, სადაც თითქმის სამი ათეული წელი იცხოვრა და იღვაწა. მისი მემუარები დღესაც აქტუალურია, რადგან ჩვენი წარსული საფუძველია იმისა, რაც დღეს ხდება, რაც შეიძლება ხვალ მოხდეს. მასში ბრძენი მამულიშვილის მიერ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაცაა დასმული. დაკვირვებული ადამიანი ბევრ სადღეისო საჭირბოროტო პრობლემასაც ამოიკითხავს, მათი გადაჭრის გზებსაც მოინიშნავს“.

ეს მემუარები რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა უნდა წაიკითხოს, დაფიქრდეს, ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, საით გვინდა წასვლა...

შორენა მახაჭაძემ საინტერესოდ და შინაარსიანად მიაწოდა შეკრებილთ მწერლის ცხოვრების ეს მეტად ღირებული (და გამორჩეულად, ბათუმელთათვის), საინტერესო მონაკვეთი...

პირველდაწყებითი განათლება დავით კლდიაშვილმა ოჯახში მიიღო. მერე რუსული ენა შეასწავლეს ექიმ ივანოვების ოჯახში და მრევლოვის მოსამზადებელ სასწავლებელში შეიყვანეს. 1872 წელს კიევის მალიუტინის სამხედრო გიმნაზიაში ჩაირიცხა, 1880 წელს კი მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში. ის თავის მემუარებში იგონებს: „ყოველ წლობით მთავრობას მიჰყავდა თავადაზნაურთა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან ორმოც-ორმოცი ბავშვი სამხედრო სასწავლებლებში, კორპუსებში იმ მიზნით, რომ გაერუსებინათ“.

ბათუმში მწერალი 1882 წლის სექტემბერში ჩამოვიდა. აღსანიშნავია, რომ 1902 წლის მარტში როტშილდის ქარხნის მუშები გაიფიცნენ, რომელთა მეთაურები დააპატიმრეს. დიდი დემონსტრაცია სწორედ მათი განთავისუფლების მოთხოვნით გაიმართა. კლდიაშვილმა მუშების დახვრეტის ბრძანება არ გასცა, რის შემდეგ ის არასაიმედო ოფიცრად ითვლებოდა და ექვსი წლის შემდეგ გაათავისუფლეს კიდეც სამსახურიდან. 26 წლის დავითმა ბათუმი დატოვა, საცხოვრებლად ჯერ ქუთაისში, შემდეგ მშობლიურ სოფელ სიმონეთში გადავიდა, სადაც მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა. სამწერლო მოღვაწეობა 32 წლის ასაკში დაიწყო. მისი პირველი მოთხრობა „შერისხვა“ 1893 წელს დაიბეჭდა. შვიდი წლის შემდეგ მას სახალხო მწერლის წოდება მიანიჭეს. დავით კლდიაშვილი 1931 წლის 24 აპრილს გარდაიცვალა, დაკრძალულია მთაწმინდაზე.

ნოდარ გრიგალაშვილი მასზე წერდა: „დავითი თავისი სილაღით, მოსიყვარულე ბუნებით, გულწრფელობით, სიყვარულით, მიმნდობლობით, ჭირვეულობითაც კი დიდ ბავშვად რჩებოდა. მისთვის მედიდურობა სრულიად უცხო იყო... ტყუილი და სიყალბე სძულდა“.

მემუარების „ჩემი ცხოვრების გზაზე“ მესამე-მეთერთმეტე თავები ბათუმს ეძღვნება. ის ჩვეული ოსტატობით ხატავს პატარა ქალაქის ცხოვრებას. როგორც მწერალი წერს, იმ დროისათვის ბათუმში ოთხი ათასი მცხოვრები იყო. ქალაქი ზღვის პირას მდებარეობდა, იქვე იყო ბაზარი, პატარა, დაბალი ქოხმახები - ვითომ მაღაზიები. რამდენიმე ქუჩა, ვიწრო, მოუკირწყლავი. ქალაქის გარშემო იყო გაბნეული ფაცხები, რომლებშიც ცხოვრობდნენ აფხაზები და ზანგები. ახლანდელი რკინიგზის სადგური იყო საშიში და უდაბური. დღევანდელი კათოლიკური ეკლესიის ადგილზე დიდი ტბა იყო, სანადირო ფრინველებით სავსე, ტბის გადაღმა, დასავლეთისკენ - უდაბური ტყე. ზღვის პირზე აღმართული იყო ორი დიდი ფორტი - ბურუნთაბიე და სარი-სუ. ამ უკანასკნელის ადგილას ნავსადგური ააშენეს... მიმოსვლა ფოთიდან პატარა გემებით წარმოებდა. 1883 წელს ბათუმი-თბილისი რკინიგზის ამოქმედებამ მიმოსვლა გააიოლა. ამას დაემატა 1885 წელს პორტო-ფრანკოს გაუქმება, რის შემდეგაც ქალაქის ინტენსიური განაშენიანება დაიწყო. მიწა მუქთად იშოვებოდა, ხალხი ციებას არ ეპუებოდა, კაფავდნენ ტყეებს, მუჭაჯირებისგან ყიდულობდნენ ან ეშმაკობით ართმევდნენ მიწას.... დაინტერესებულთაგან ლამის 99 პროცენტი უცხოელი იყო, მათ შორის, ინჟინერი სალავიოვი, ნოტარიუსი გერენშტეინი, მილიონერი სიბირიაკოვი... დიდძალი მიწები შეისყიდა ვაჭარმა პოპოვმა და დაიწყო ჩაის პლანტაციების გაშენება, მებაღე დალფონსმა, მწვანე კონცხზე ხელში ჩაიგდო მიწის უზარმაზარი ნაკვეთები და დაიწყო ბაღების გაშენება. მან ასევე პირველმა შემოიტანა მანდარინების კულტურა. სხვათა შორის, დალფონსი ციებამ იმსხვერპლა. ზღვის სანაპიროზე ოცი ვერსის მანძილზე მხოლოდ ერთი ქართველის - სევასტი ჭელიძის აგარაკი იყო.

კლდიაშვილი აღნიშნავს, რომ ბათუმი მაშინაც მრავალეროვანი ქალაქი იყო: ქართველი, რუსი, სომეხი, ბერძენი, თათარი, ოსმალო, აფხაზი, ზანგი.... ქალაქის თავი გახლდათ ტოლსტოის ცოლისძმა ბერსი, ქალაქის გუბერნატორი - სმეკალოვი. ბათუმში არავითარი გასართობი არ იყო...

ამ მემუარებში არაერთი საინტერესო ამბავია მოთხრობილი ჩვენი ქალაქის მაშინდელი ცხოვრების და იმ ადამიანების შესახებ, ვინც დიდი ამაგი დასდო ბათუმსა და ქართველობას. მათ შორის არიან: გრიგოლ ვოლსკი, ივანე მესხი, ლუკა ასათიანი, ალექსანდრე ყაზბეგი, დიდი ილია... ბევრი სხვა. გადმოცემულია, თუ რა დიდი საქმეები აკეთეს მათ ქალაქში. ამიტომ, ვისაც ბათუმი გიყვართ, მისი ისტორიაც უნდა გაინტერესებდეთ. თუ თქვენ ამ მემუარებს გადაავლებთ თვალს, მიხვდებით, მისი სახით მწერალმა ბათუმს, თაობებს რა დიდი განძი დაგვიტოვა. ეს ისტორიაა, რომელიც ყოველთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება. მის მემუარებში სიმართლით, რეალისტურად, ობიექტურად არის ასახული ბათუმისა და აჭარის ცხოვრება. მწერალი გვიამბობს, თუ რას დაამსგავსეს ოსმალებმა და რუსებმა ერთობლივი ძალებით ერთ დროს აყვავებული და მდიდარი აჭარა.

დავით კლდიაშვილი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე რუსეთ-ოსმალეთის ფრონტზე გაიწვიეს. მძიმედ დაავადებულმა პოლკოვნიკის ჩინით დაასრულა სამხედრო სამსახური.

- ძალიან კმაყოფილი დავრჩი, დიდი მადლობა ქალბატონ შორენას საინტერესო ლექციისთვის, - გვითხრა მწერალმა ლეილა ხინთიბიძემ.

- კლდიაშვილს ბათუმის წინაშე უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. რაც მწერალს აქვს მემუარებში აღწერილი, ეს შეუფასებელია, მას ჩვენი მეცნიერები კიდევ არაერთხელ მიუბრუნდებიან და უფრო ღრმად შეისწავლიან, - აღნიშნა პოეტმა დავით თედორაძემ.

- დავით კლდიაშვილი ჩვეული ოსტატობით ხატავს პატარა ქალაქის ცხოვრებას. ეს მემუარები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მან 26 წელი გაატარა ბათუმში და ამ ხნის განმავლობაში აქ არ მომხდარა არცერთი საყურადღებო მოვლენა, რომელშიც მონაწილეობა არ მიეღო. ამასთან, ეს არის დიდებული მხატვარი, რომელმაც რეალისტურად დაგვიხატა და აღწერა ბათუმის ჩამოყალიბების ისტორია - როგორ იქცა ცივი, ჭაობიანი ბათუმი იმ ქალაქად, რომელსაც შემდეგ მთელი უცხოეთი შესტრფოდა. არაჩვეულებრივადაა ნაჩვენები, როგორ შეიძლება ენთუზიაზმზე დიდი საქმეების კეთება, - გვითხრა შორენა მახაჭაძემ.

გაზეთის საშუალებით საჯაროდ გვინდა გადავუხადოთ მადლობა ქალბატონ შორენას ლექციისთვის - ჩვეული ენაწყლიანობით და საინტერესოდ წარმოგვიდგინა ძირფესვიანად შესწავლილი ეს ისტორია.

„ნაი“ – თურქეთის შუახევში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ისტორიული ტაო-კლარჯეთის, იქ არსებული მატერიალური და კულტურული ძეგლების მონახულება ყველა ქართველს სურს. შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულ ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „ნაის“ წევრებმა კი ეს წადილი ამ დღეებში აისრულეს, რაზეც შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ვახტანგ ბოგრაჭაძე გვესაუბრება

- ნოემბერის ბოლო დღეებში შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულ ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „ნაის“ თანხლებით და ისტორიკოს როინ მალაყმაძის ხელმძღვანელობით ისტორიულ ტაო-კლარჯეთში გავემგზავრეთ. პირველი, რაც ვნახეთ, იშხანის მონასტერი იყო, სადაც უფლის წყალობითა და ქალბატონ ნათია ჩაჩიბაიას დახმარებით პარაკლისი გადავიხადეთ. შემდეგი გაჩერება ბანას კედლებჩამოშლილი ტაძარი გახლდათ, რომლის ხილვა ათასნაირ ემოციას იწვევს, საბოლოოდ კი ერთ დიდ ტკივილს გიტოვებს. მოვინახულეთ ოთხთა, ხახული, პარხალი, არტანუჯი, ქალაქი იუსუფელი, რომელიც ჩასაძირად არის გამზადებული.

- რატომ?

- ცნობილია, რომ იმ ტერიტორიაზე შენდება მსოფლიოში სიდიდით მეხუთე კაშხალი. ამ ქალაქს რამდენიმე თვეში წყალი დაფარავს და იქ ვეღარასოდეს დავდგამთ ფეხს.

- როგორია იქ მიღებული შთაბეჭდილებები?

- ყველას, განსაკუთრებით მწერალსა და ხელოვნების მუშაკს, სხვა განცდა და ფიქრი გვეუფლება, როდესაც მარადიდიდან ვუმზერთ მდინარის იქითა საქართველოს. საოცრად გვიმასპინძლა ბორჩხაში მცხოვრებმა ქართველმა ნიკო ღვინიაშვილმა. გვითხრა, ეს გვარი აქ შემარქვეს იქიდან გამომდინარე, ღვინოსა და არაყს რომ ვაწარმოებო.

- კიდევ რა იყო საინტერესო?

- 27 ნოემბერს დევსქელის (იგივე დევისყელის) ხეობას ავუყევით და გეზი სოფელ შუახევისაკენ ავიღეთ. ვიცოდით, რომ იქაურ ქართველებს უნდა შევხვედროდით. რამდენიმე კაცს და მომღერალს ველოდებოდით, მაგრამ როდესაც უამრავი ავტომობილი დავინახეთ, მივხვდით, რომ საქმე სერიოზულად იყო - მთელი ხეობიდან მოეყარათ თავი ადამიანებს. მათ შორის იყვნენ ოფიციალური პირები, ანსამბლები და ადგილობრივი მცხოვრებლები. ოცკაციანი მინიავტობუსით მივადექით. შემოგვეგებნენ, ერთმანეთს გადავეხვიეთ, აჭარული აქცენტით მოსაუბრე ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლი და ხორცი გულში ჩავიკარით. ეს იყო ნამდვილი სახალხო დღესასწაული. განურჩევლად წოდებისა, ყველა ერთიანად იყო ჩართული პროცესში. ბორჩხის მერიის ანსამბლისა და „ნაის“ არაჩვეულებრივი ტანდემი შედგა. ბოლოს უძველესი ტრადიცია - „ქურთობა“ აღადგინეს, რამაც ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია. ორი მხარის კულტურის გაერთიანებით შემდგარი სახალხო ზეიმი ყველა კუთხიდან იარაღის სროლის ხმამ კიდევ უფრო აზარტული და უჩვეულო გახადა (იქაური წესისამებრ, იარაღი ყველას აქვს). ეს ყველაფერი ჩვენთან შესახვედრად გაკეთდა, არანაირი ოფიციალური დღესასწაული იმ დღეს არ ყოფილა.

- ერთობლივი ღონისძიება ხომ არ დაგეგმეთ?

- ვფიქრობ, აუცილებელია მსგავსი კულტურული ურთიერთობების გაგრძელება. უპრიანი იქნება პროგრამების გაცვლა. იქ მცხოვრებ ქართველებს ვენატრებით, ჩვენგან სიყვარული, მოფერება და ყურადღება სურთ, მეტი არაფერი. ვნახეთ ახალგაზრდები, რომლებმაც დამოუკიდებლად ისწავლეს ქართული ენა და სურთ, გააგრძელონ ამავე მიმართულებით განათლების მიღება. ვფიქრობ, ჩვენმა სახელმწიფომ უნდა შეუწყოს მათ ხელი. ალი მჭედლიშვილი ერთ-ერთი ძველი ტაოელია, რომელიც მზად არის, საქართველოში გააგრძელოს სწავლა ქართული ენა-ლიტერატურის მიმართულებით.

- ანსამბლი „ნაი“ თავის რეპერტუარში იქაურ სიმღერებსაც ხომ არ შეიტანს?

- ეს თემა მის ხელმძღვანელ მარინა ფევაძესთან ერთად უკვე მუშავდება და მალე ორ-სამ ნომერს დავდგამთ. აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთით მადლობას ვუხდი ბატონ როინს ექსპედიციაში მონაწილეობისთვის.